თამარ ჯაყელი
მარიამ წიკლაური
თინა ცერაძე

ქართული ენა

2

მოსწავლის წიგნი

თბილისი, 2012

ავტორები: **თამარ ჯაყელი, მარიამ წიკლაური, თინა ცერაძე**

მხატვრები: მაკა ჯებირაშვილი, ნანა იოსელიანი
დიზაინერ-დამკაბადონებელი: ნუგზარ არჩემაშვილი
ელენე ვარამაშვილი

დაიბეჭდა გამომცემლობა ,,პეტიტში''
თბილისი, 2012

სარჩევი

მოდული 1 გავიხსენოთ, რა ვისწავლეთ!

თავი 1. ჩემთან სახლში 5
თავი 2. ჩვენი საყვარელი ცხოველები 20
თავი 3. ჩემი საუზმე 34
თავი 4. ჩემი დაბადების დღე 40
თავი 5. რას ვაკეთებთ ხშირად? 44
თავი 6. ჩემი საყვარელი პერსონაჟები 48

მოდული 2 ფერადი შემოდგომა

თავი 7. რამდენი წლის ხარ? 56
თავი 8. ტყეში 77
თავი 9. რთველზე 86

მოდული 3 ქალაქში

თავი 10. დილა ჩვენს ქუჩაზე..... 98
თავი 11. კვირის რომელი დღე გიყვარს? 116
თავი 12 ციყვები ქუჩაში (მარიამ წიკლაურის *ზღაპრის მიხედვით*) 134

მოდული 4 ჩემი კალენდარი

თავი 13. რომელი საათია?..... 144
თავი 14. რას სწავლობ სკოლაში? 156
თავი 15. დღემ იმატა 164
თავი 16. ავტოსბუსი №32 *(ჯანი როდარის ზღაპრის მიხედვით)* 174

წიგნის პერსონაჟები

მამია

ლიზი ბებია

ია

თომა

დათო

ლუკა

ია და სალომე

ელენე და ანდრია

ბატები



ავტობუსი №32

1 *წაიკითხე.*

მამიას ოჯახი

მამიას მამა

მამიას ძმა

მამიას დედა

მამიას და

მამიას ბაბუა

მამიას ბებია

ეს მამიას ოჯახია. მამიას ჰყავს დედა, მამა, ბებია, ბაბუა, ერთი ძმა და ერთი და.

1 *წაიკითხე.*



2 *წაიკითხე.*

იისფერი

თეთრი

თეთრი იასამანი

იისფერი იასამანი

3 *დააკავშირე.*

ვარდისფერი | ლურჯი | წითელი | თეთრი

შავი | მწვანე | იისფერი

4 *წაიკითხე.*

გრძელი შარვალი

მოკლე შარვალი

მაისური

კაბა

სათვალე

ქუდი

პერანგი

გრძელი თმა

მოკლე თმა

5 ***შეუსაბამე ნახატი წინადადებას და მიუწერე ნომერი.***



- დიდი ვარდისფერი პერანგი ☐
- პატარა თეთრი პერანგი ☐
- დიდი შავი პერანგი ☐
- დიდი თეთრი პერანგი ☐
- პატარა შავი პერანგი ☐
- პატარა ვარდისფერი პერანგი ☐

1 *წაიკითხე.*

მანქანა

თოჯინა

დათვი

კალათა

ბურთი

კუბი

2 *წაიკითხე და გამოყავი ხაზით.*

მანქანაკალათაბურთიდათვითოჯინა

3 *დააკვირდი და წაიკითხე.*

მე ქადა მაქვს.



მას დათვი აქვს.

მას = მაიას

4 ***შეუსაბამე წინადადება პერსონაჟს და მიუწერე, ვინ არის.***

მას აქვს მოკლე თმა და უკეთია სათვალე. მას = _____

მას აქვს მოკლე თმა და აცვია წითელი კაბა. მას= _____

მას უკეთია სათვალე და ახურავს ქუდი. მას. = _____

მას აცვია მწვანე კაბა და აქვს გრძელი თმა. მას= _____

5 ***დააკვირდი პერსონაჟებს და მონიშნე, მართალია /+/ თუ მცდარია /-/.***

მამიას აქვს ლურჯი და წითელი მანქანები. ◯

მაიას აქვს თოჯინა. ◯

მამიას დედას აქვს ყვითელი და წითელი ყვავილები. ◯

ბაბუას აცვია თეთრი პერანგი და ახურავს მწვანე ქუდი. ◯

1 ***წაიკითხე და დააკავშირე.***

2 ***წაიკითხე, შეუდარე სურათს და იპოვე ერთი შეცდომა.***

ეს კუ ფიფის ოჯახია. ფიფის ჰყავს ერთი და, დედა, მამა და ბებია. დედას ფეფო ჰქვია. მას ქუდი ახურავს. მამას ლურჯი პერანგი აცვია და ქუდი ახურავს. ფიფის ბებია ქვაზე ზის. მას სათვალე უკეთია და ქსოვს.

3 ***დაუკავშირე კითხვები პასუხებს.***

ეს ვისი ოჯახია? ●	● ლურჯი ქუდი.
რა ჰქვია კუ ფიფის დედას? ●	● ქვაზე.
სად ზის ბებია? ●	● კუ ფიფის.
რა ახურავს ფიფის? ●	● ფეფო.

4 *შეუდარე ტექსტი ნახატს და იპოვე ორი განსხვავება.*

ეს კურდღელი ფიმფის ოჯახია. ფიმფის ჰყავს ბებია, მამა, დედა და და. ფიმფის დას ფუმფო ჰქვია. ფიმფის მამა ზის. ფიმფის დედა დგას. ფიმფის მამას სათვალე უკეთია. მიწაზე ერთი ქვა დევს. მზე იცინის.

5 *წაიკითხე წინადადებები, შეუსაბამე სურათებს და და მიუწერე, ვინ არის.*

ფუმფო

მიმი

მიმა

ფიფი

მე მაქვს ლურჯი ქუდი და ყვითელი ბუშტი. მე ვარ _____

მე მაქვს წითელი კაბა. მე ვარ _____

მე მაქვს ლურჯი კაბა. მე ვარ _____

მე მაქვს მწვანე მაისური. მე ვარ _____

1 ***დააჯგუფე და გადაიწერე სათანადო ადგილას.***

ბურთი

პერანგი

კაბა

თოჯინა

ტანსაცმელი		სათამაშო

2 ***იპოვე ზედმეტი და შემოხაზე.***

თოჯინა ბურთი თოფი მანქანა ქუდი კუბი

თეთრი შავი ვარდი ყვითელი ვარდისფერი ლურჯი

3 ***დააჯგუფე და დააკავშირე.***

შარვალი

კუბი

სათამაშო

ფერი

ტანსაცმელი

მწვანე

ქუდი

ყვითელი

ბურთი

კაბა

ლურჯი

4 ***წაიკითხე.***

ტახტი

საწოლი

სკამი

კარადა

კომოდი

თარო

მაგიდა

კომპიუტერი

5 ***დააკვირდი და წაიკითხე.***

კომოდ**ზე** კუბებია

კომოდ**ში** კუბებია

მაგიდის **ქვეშ** მანქანაა.

6 ***აირჩიე და მონიშნე.***

- ◯ მანქანა არის კომოდში.
- ◯ მაქანა არის კომოდის ქვეშ.
- ◯ მანქანა არის კომოდზე.

1 ***წაიკითხე ტექსტი და მიუთითე ისრით, სად რა დევს.***

ია ოთახს არ ალაგებს. თაროზე თოჯინაა. ტახტის ქვეშ არის წითელი ქუდი. ტახტზე დევს ქოლგა და ლურჯი ქუდი. მაგიდის ქვეშ ბურთია, მაგიდაზე – ყვითელი მაისური.

2 ***დააკვირდი და წაიკითხე.***

წიგნი – წიგნები

თეფში – თეფშები



თაროზე წიგნი დევს.

თაროზე წიგნები აწყვია.

3 *აირჩიე და მონიშნე სწორი ფორმა.*

◯ ქუდი აწყვია		◯ თოჯინები დევს.
◯ ქუდი დევს		◯ თოჯინები აწყვია.

4 *დაუკავშირე ტექსტები ნახატებს და მიუწერე ნომრები.*

(1) ოთახში დგას მაგიდა, სკამი, ტანსაცმლის კარადა და საწოლი. კედელზე კიდია თარო, სარკე და სურათი. თაროზე წიგნები აწყვია. ფიფქია საწოლს ალაგებს.

(2) ოთახში დგას მაგიდა, სკამი და ჭურჭლის კარადა. კედელზე თარო კიდია. ჭურჭლის კარადაში თეფშები აწყვია. ფიფქია ჭურჭელს რეცხავს. გარეცხილ თეფშებს მაგიდაზე აწყობს.

1 ***გამოყავი სიტყვები ხაზით და მიუწერე შესაბამის სურათს.***

ბურთი თა რო კომპიუტერი

2 ***შეადარე ტექსტი ნახატს და იპოვე სამი განსხვავება.***

ეს მამიას ოთახია. ოთახში დგას დიდი ტანსაცმლის კარადა, კომოდი, საწოლი, მაგიდა და სკამი. კედელზე თარო და სურათი კიდია. მაგიდაზე კომპიუტერი დგას. სკამზე დევს წიგნი, წიგნზე დევს ჭიქა. კომოდში აწყვია შარვალი და მაისური. კომოდზე დევს მატარებელი. თაროზე აწყვია წიგნები და წითელი მანქანა. საწოლზე გიტარა დევს, საწოლის ქვეშ ბურთია.

3 ***წაიკითხე.***

ქვაბი

ჭიქა

თეფში

ჩანგალი

დანა

4 ***დააჯგუფე და ჩაწერე სათანადო ადგილას.***

მანქანა

თეფში

პერანგი


კუბები

დანა

კაბა

1 ***იპოვე ზედმეტი და შემოხაზე. შენი პასუხი დაასაბუთე.***

ჩანგალი კაბა თეფში დანა ჭიქა

კომოდი კარადა მაგიდა სკამი საწოლი ბურთი

ჭიქა თოჯინა კუბი მატარებელი მანქანა

2 ***წაიკითხე.***

მამია ზის.

მამია დგას.

ფიფქია წევს.

3 ***დააკვირდი ნახატს და დააკავშირე ნიმუშის მიხედვით.***

ია

თეა

მაიმუნი

ფისო

მამია

ფუმფუსია

ზის

დგას

4 ***დააკვირდი ნახატს და დაასრულე წინადადება.***

ფიფქია

წითელ ჰამაკში წევს ————

ლურჯ ჰამაკში წევს ————

თომა

5 *დაუკავშირე რიცხვები შესაბამის სახელებს.*

ორი ხუთი რვა ექვსი ათი

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ერთი სამი ოთხი შვიდი ცხრა

6 *წაიკითხე და დაუკავშირე.*

მეოთხე მეორე მეხუთე მეათე მეცხრე

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

მესამე პირველი მეშვიდე მეექვსე მეშვიდე

7 *დააკვირდი ნახატებს და თქვი, მართალია თუ მცდარია.*

- ◯ ბატიბუტი არის მესამე სკამზე.
- ◯ ყვავილი არის მეორე სკამზე.
- ◯ მანქანა არის პირველ სკამზე.
- ◯ კატა ზის მეხუთე სკამზე.

8 *გაასწორე და გადაწერე შესაბამისი წინადადება.*

1 *წაიკითხე.*



2 *წაიკითხე, გამოიცანი და მიუწერე, რა ცხოველია.*

მას აქვს მოკლე კუდი და გრძელი რქები. _____

მას აქვს მოკლე კუდი და გრძელი ყურები. _____

მას აქვს გრძელი კუდი და მოკლე ყურები. _____

მას აქვს მოკლე რქები და მოკლე კუდი. _____

ქათამი

მამალი

ოფოფი

მგელი

მას აქვს მოკლე ნისკარტი და წითელი ბუმბული. _____

მას აქვს გრძელი ნისკარტი და გრძელი ფრთები. _____

მას აქვს თათები და ბეწვი. _____

მას აქვს მოკლე ნისკარტი და თეთრი ბუმბული. _____

1 *დააჯგუფე, დააკავშირე და დაწერე, რომელი ცხოველი რას აკეთებს.*

თხა

ოფოფი



იხვი

კატა

თევზი

დათვი

ბუ

იხვი

იხვი

დაფრინავს
დაცურავს
დადის

დადის:

დაფრინავს:

დაცურავს:

2 ***წაიკითხე და დაუკავშირე ისრებით.***

ბუმბული

ბიბილო

ბოლო

თავი

თვალი

3 ***წაიკითხე.***

აი ბუდე. ოფოფს ბუმბული მოაქვს. ბუმბული ბუდისთვისაა. ბუმბულის ბუდე თბილია. ეს ოფოფის ბუდეა.

4 ***გამოიცანი, რომელი ცხოველი და მიუწერე.***

ქათამი

პეპელა

მგელი

ობობა

აქვს რვა ფეხი. _____

აქვს ოთხი ფრთა, არ აქვს ბუმბული. _____

აქვს ოთხი თათი და დიდი კბილები. _____

აქვს ორი ფრთა, ორი ფეხი და ბუმბული. _____

1 *დააჯგუფე, დააკავშირე ნიმუშის მიხედვით და დაწერე, რომელი ცხოველი სად ცხოვრობს.*

ტყე

ეზო

ზღვა

ბუ

თევზი

მაიმუნი

ძაღლი

ძროხა

ირემი



თხა

ტყეში ცხოვრობს:

ეზოში ცხოვრობს:

ზღვაში ცხოვრობს:

2 *დაეხმარე დათოს გამოცანის გამოცნობაში.*

რქები აქვს?		არა.
ტყეში ცხოვრობს?		არა.
ზღვაში ცხოვრობს?		არა.
ბალანი აქვს?		არა.
დაფრინავს?		კი.
დადის?		კი.
ბუმბული აქვს?		კი.
ბიბილო აქვს?		არა.
ქათამია?		არა.
დაცურავს?		კი.

ეს არის _____

1 *გამოიყენე სქემები და უპასუხე კითხვებს.*





რა აქვს? _____

სად ცხოვრობს? _____

რას აკეთებს? _____



რა აქვს? _____

სად ცხოვრობს? _____

რას აკეთებს? _____

რა აქვს? _____

სად ცხოვრობს? _____

რას აკეთებს? _____

2 *დათომ იას გაუგზავნა გამოცანა, წაიკითხე და გამოიცანი.*

ია,

აბა, გამოიცანი !

დაფრინავს, ეზოში ცხოვრობს, აქვს ბიბილო.

რა არის ?

დათო

3 *დაწერე გამოცანა რვეულის ფურცელზე და გაუგზავნე კლასელს.*

_____

აბა, გამოიცანი !

_____

4 *დააკვირდი ნახატს და წაიკითხე.*

ბუ

ბუები

კეთილი ბებერი ბუები
(რ. ინანიშვილის ზღაპრის მიხედვით)

1 *დააკვირდი ზღაპრის სურათებს. გამოჭერი ტექსტის მონაკვეთები წიგნის ბოლოს და ჩააწებე სათანადო ადგილას. გააფერადე, გააფორმე და წაუკითხე შენს პატარა მეგობრებს, ოჯახის წევრებს.*

იხვი
(მ. ბოლქვაძის ზღაპრის მიხედვით)

2 ***გამოჭერი სურათები წიგნის ბოლოს, შეუსაბამე ტექსტის მონაკვეთებს და ჩააწებე.***

იხვი ორმოშია. ტირის: „მიშველეთ, დამეხმარეთ, ღამე მგელი შემჭამს!“

ოფოფი ყოფს თავის გრძელ ნისკარტს, მაგრამ ის ვერ სწვდება იხვს.

შემდეგ ძაღლი ყოფს ორმოში კუდს, მაგრამ ძაღლს მოკლე კუდი აქვს.

ვის აქვს გრძელი კუდი?

კატას აქვს გრძელი კუდი, მაგრამ ვერც კატის კუდი სწვდება იხვს.

მზე უყურებს იხვს და კეთილ ცხოველებს. იცინის და იხვს ეუბნება: „მე დაგეხმარები!“ იქვეა ქარიც. მზე ქარს ეუბნება: „ჩაჯექი ჩემს ეტლში და ღრუბელი მოიყვანე!“

ქარი ჯდება მზის ეტლში, უბერავს შავ ღრუბელს.

ღრუბელი ორმოს თავზეა და ტირის. წვიმს, ორმო წყლით ივსება და იხვიც მაღლა ადის.

იხვი და მისი მეგობარი ცხოველები მზეს მადლობას უხდიან.

1 ***წაიკითხე და დაწერე, რა გიყვარს.***



შემწვარი კარტოფილი

სიმინდი



ყველი

თაფლი



ბანანი

კარაქი



პური



ფუნთუშა

რძე

ჩაი

ლიმონათი

კვერცხი

მე მიყვარს

2 *წაიკითხე, დააჯგუფე და დააკავშირე.*

ფორთოხალი

ტორტი


სტაფილო

მარწყვი

ვაშლი

ნაყინი

კომბოსტო

კარტოფილი



კანფეტი


მსხალი

ატამი


შოკოლადი

1 ***დააკავშირე.***

მაიას უნდა მსხალი. მამიას უნდა ატამი.

2 ***წაიკითხე და დააკვირდი.***

მე მინდა მსხალი.

შენ რა გინდა?

მას უნდა მსხალი.

დააკვირდი!

მე მინდა შენ გინდა მას უნდა

3 ***აირჩიე და მიუწერე: შენ, მე, მას.***

——————— მინდა მსხალი.

——————— გინდა ატამი

——————— უნდა ბალი.

4 ***მონიშნე, რა არის.***

ხილი ☐

ტკბილეული ☐

5 ***დააკვირდი და წაიკითხე.***

ქვაბში სოსისია.

6 ***დაუკავშირე წინადადებები ნახატებს.***

- თასში ქიშმიშია.
- კალათაში მსხალია.
- ქვაბში სოსისებია.
- თასში ბალია.

7 ***წაიკითხე დიალოგი და პასუხების მიხედვით დაასრულე წინადადებები.***

მაიას უნდა _____

– მაია, შენ რა გინდა, მსხალი თუ ატამი?
– მე ატამი მინდა.

მამიას უნდა _____

– მამია, შენ რა გინდა, მსხალი თუ ატამი?
– მე მსხალი მინდა.

1 ***წაიკითხე და დააკავშირე.***

ატამი ქიშმიში მსხალი შოკოლადი თაფლი

ტკბილეული ხილი

2 ***დააკავშირე.***

საჭმელი სასმელი

ლიმონათი პური კვერცხი ყველი რძე

3 ***წაიკითხე დიალოგი და მონიშნე შესაბამისი ნახატი.***

– ია, რა საჭმელი გინდა საუზმეზე?

– შოკოლადი არ გინდა?

– თაფლი?

– რა სასმელი გინდა?

– მე მინდა ფუნთუშა და შემწვარი კარტოფილი.

– არა, გმადლობთ.

– კი, თაფლი მინდა!

– მინდა ცხელი ჩაი.

რომელია იას საუზმე?

4 ***დააკვირდი და წაიკითხე.***

აი ბალი.
აი ბლის კანფეტი.

აი ატამი.
აი ატმის კანფეტი.

5 ***წაიკითხე დიალოგი და მონიშნე შესაბამისი ნახატი.***

– ლუკა, რა გინდა საუზმეზე?
– კანფეტი არ გინდა?
– ატმის.
– შოკოლადი?
– რა სასმელი გინდა?

– მე მინდა პური, ყველი და კვერცხი.
– რისი კანფეტია?
– არა, გმადლობთ, ატმის კანფეტი არ მიყვარს.
– კი, მინდა!
– ლიმონათი.

რომელია ლუკას საუზმე ?

1 ***წაიკითხე.***

დაიმახსოვრე!
ქუდი ახურავს

შარვალი
კაბა
პერანგი } აცვია

სათვალე
საათი } უკეთია

ეს მშრომელაა. მშრომელას პერანგი და შარვალი აცვია, ქუდი ახურავს და სათვალე უკეთია. მას აქვს ცული.

2 ***წაიკითხე და მიუწერე, ვინ საუბრობს.***

მამია

ნინო

ელენე

მე მაცვია ჟაკეტი, მიკეთია სათვალე და მახურავს თბილი ქუდი.

მე ვარ ——————————————————————————————

მე მაცვია შავი კაბა და მახურავს დიდი ქუდი. მე ვარ ——————————

მე მაცვია ვარდისფერი კაბა და მახურავს თეთრი ქუდი.

მე ვარ ——————————————————————————————

3 *შეუსაბამე ნახატები ტექსტებს და მიუწერე შესაბამისი ნომრები.*

◯ ატმის ხეზე ყვითელი და წითელი ფოთლებია. ფოთლები მიწაზე ცვივა. გრილა. მამიას და მაიას ჟაკეტები და შარვლები აცვიათ.

◯ თოვს. ცივა. ატმის ხის ტოტებზე თოვლია. მიწაზეც თოვლი დევს. მამიას და მაიას თბილი ქუდები ახურავთ.

◯ ატმის ხეს ატამი ასხია. მზეა. ცხელა. ყვავილებია. მამიას მოკლე შარვალი აცვია. მაიას მოკლე კაბა აცვია, სათვალე უკეთია და ქუდი ახურავს.

◯ ატმის ხეზე ყვავილებია. წვიმს და მზეა. მამიას და მაიას ჟაკეტები აცვიათ და ქოლგა აქვთ.

1 ***შეუდარე ტექსტი ნახატს და იპოვე ერთი ტყუილი.***

ტორტი

ჭკვიანას დაბადების დღეა. მაგიდაზე მარწყვის დიდი ტორტი და ტკბილეულია. მხიარულა უკრავს გიტარას, მორცხვა და ბუტია ცეკვავენ ფიფქიასთან ერთად, ღიპუცა და სოსო ჭამენ. თეა და ჭკვიანა ტაშს უკრავენ. ია ცეკვავს. ყველა იცინის და მხიარულობს.

1 ***წაიკითხე.***

შოკოლადის ტორტი

მარწყვის ტორტი

ფორთოხლის ტორტი

ატმის ტორტი

3 ***წაიკითხე იას და მამიას წერილები და უპასუხე კითხვებს.***





ვის სწერს წერილს ია? _____

რისი ტორტი უნდა იას? _____

ვის წერს წერილს მამია? _____

რისი ტორტი უნდა მამიას? _____

4 ***მისწერე შენს კლასელს, რისი ტორტი გინდა დაბადების დღეზე.***

_____

მე დაბადების დღეზე

შენ?

_____

თავი 5 რას აკეთებ ხშირად?

1 ***დააკვირდი ნახატებს და დაუკავშირე კითხვები პასუხებს.***

- რას აკეთებს მშრომელა?
- რას აკეთებს ია?
- რას აკეთებს მამია?
- რას აკეთებს ბუტია?

- ხერხავს.
- ქანაობს.
- კითხულობს.
- თლის.

2 ***დააკვირდი ნახატებს, დაუკავშირე სახელები საქმიანობებს და გადაიწერე წინადადებები.***

მშრომელა	კრეფს
თომა	ხერხავს
სოსო	თხრის
მამია	რგავს

3 ***დააკვირდი ნახატებს და უპასუხე კითხვებს.***

ვინ უკრავს გიტარას?

ვინ მღერის?

4 ***დააკვირდი ნახატებს და დაუკავშირე პასუხები კითხვებს.***

ვინ რწყავს ყვითელ ვარდებს? ●
რა ფერის ვარდებს რწყავს ფიფქია? ●
რა ფერის ვარდებს რწყავს სოსო? ●

● თეთრს.
● წითელს.
● ია.

5 ***შეუსაბამე წინადადებები ნახატებს.***

◯ შეშას აპობს.
◯ ნერგებს რგავს.

◯ ტოტებს ხერხავს.
◯ ხილს კრეფს.

1 ***წაიკითხე და მონიშნე, რას აკეთებ ხშირად.***

ვვარჯიშობ.

ვხატავ.

ოთახს ვალაგებ.



საქანელაზე ვქანაობ.

კბილებს ვიხეხავ.

ვკითხულობ

თმას ვივარცხნი.

ბურთს ვთამაშობ.

1 ***გადაწერე, რას აკეთებ ხშირად.***

4 *დააკვირდი და წაიკითხე.*

ხატავს

ხატავენ

ხერხავს

ხერხავენ

4 *აირჩიე და მონიშნე, რომელია სწორი.*

კითხულობს ☐

კითხულობენ ☐

გუნდაობს ☐

გუნდაობენ ☐

1 ***გაეცანი ზღაპარს და წაუკითხე შენს უმცროს მეგობრებს.***



ერთ სახლში ცხოვრობს გრძელთმიანი გოგონა, სახელად ფიფქია. ფიფქია ობოლი გოგონაა. მას არც დედა ჰყავს, არც მამა, არც და, არც ძმა.

ფიფქია ხშირად მიდის ტყეში სასეირნოდ. ტყეში იგი კრეფს სოკოს, მარწყვს, ეფერება ცხოველებს. ფიფქია ყველას უყვარს: შველს, ირემს, დათვს, ბაჭიებს, ჩიტებს.

ფიფქია ტყეში იკარგება. დადის, დიდხანს დადის. . .

უცებ შორს პატარა სახლს ხედავს. ფიფქია შედის სახლში. სახლში არავინაა. დგას მაგიდა გარშემო სკამებით. მაგიდაზე აწყვია შვიდი თეფში, შვიდი ჩანგალი, დანები, კოვზები. თეფშებზე აწყვია პური და კვერცხი, თეფშების წინ ჭიქები დგას, ჭიქებში მარწყვის კომპოტი ასხია. მაგიდაზე აწყვია ყველი, ვაშლი, მსხალი, ყურძენი, კიტრი და პომიდორი.

ფიფქიას შია და სწყურია. სვამს კომპოტს, ჭამს პურს, კვერცხს, კიტრსა და ყველს.

შემდეგ დაღლილი ფიფქია მიდის საწოლებისაკენ. საწოლიც შვიდი დგას: ერთი გრძელია, ერთი – მოკლე, ერთი – მაღალი, ერთი – დაბალი, ერთი – განიერი, ერთიც – ვიწრო. მხოლოდ მეშვიდე საწოლია მისი ზომისა. ფიფქია წვება და იძინებს.

საღამოს სახლში ჯუჯები შემოდიან.

ხედავენ, რომ ყველაფერი არეულია.
პირველი ჯუჯა ამბობს: „ვინ დალია ჩემი კომპოტი?“
მეორე ჯუჯა ამბობს: „ვინ შეჭამა ჩემი პური?“

შედიან ჯუჯები საწოლ ოთახში. საწოლებიც არეულია. მეშვიდე ჯუჯა ამბობს: „ვინ წევს ჩემს ლოგინში?“ მეშვიდე საწოლში წევს გრძელთმიანი გოგონა. მას სძინავს. ჯუჯები გაოცებულები უყურებენ.

გოგონა იღვიძებს და ხედავს, რომ ირგვლივ შვიდი პატარა კაცი, შვიდი ჯუჯაა. მას ეშინია. მშრომელა ამბობს: „ნუ გეშინია, ჩვენ კეთილი ჯუჯები ვართ. შენ ვინა ხარ?“

– მე ფიფქია ვარ, ტყეში დავიკარგე!

– ჩვენ და არ გვყავს, იყავი ჩვენი უფროსი და!

– მე ძმები არ მყავს, დავრჩები თქვენთან!

გოგონა და ჯუჯები დამეგობრდნენ.

ფიფქია ყოველდღე ალაგებს საწოლებსა და კარადებს, რეცხავს ტანსაცმელს, ჭურჭელს. გემრიელ სადილს ამზადებს. დილაობით ფაფას ხარშავს.

ერთხელ ფიფქია ისევ სოკოს საკრეფად მიდის. შხამიან სოკოს წყვეტს. გოგონა სოკოთი იწამლება. იგი მიწაზე ეცემა.



ფიფქია ჯუჯებს ეზოში მოჰყავთ. ჯუჯები ტირიან, ტირიან ცხოველებიც. ყველას ძალიან უყვარს ფიფქია.

ამ დროს ტყეში გამოჩნდება ერთი ლამაზი ბიჭი. მას ცხენით ექიმი მიჰყავს სახლში. ექიმს ჩანთაში უდევს წამლები. შველი და ჩიტები ხედავენ ექიმს. მისკენ მიემართებიან და დრუნჩითა და ნისკარტით ექაჩებიან ჯუჯების სახლისაკენ. ცხენიანი ყმაწვილი ჯუჯების ეზოსკენ მიდის.

ექიმი სინჯავს ფიფქიას, პირში წამალს უსხამს. ფიფქია თვალებს ახელს. ჯუჯებს უხარიათ და ექიმს მადლობას უხდიან. ბიჭს კეთილი და ლამაზი ფიფქია შეუყვარდება.

ის ფიფქიას დიდ თაიგულს უწვდის და ცოლობას სთხოვს.

ბიჭს ფიფქია და შვიდი ჯუჯა თავის ლამაზ სასახლეში მიჰყავს. ჯუჯები ფიფქიას ჩუქნიან ბროლის მძივსა და ბეჭედს.

ბიჭი და ფიფქია დიდ ქორწილს იხდიან. ქორწილში ჯუჯები ცეკვავენ და მხიარულობენ.

1 ***წაიკითხე, რას ამბობენ პერსონაჟები.***

გამარჯობა! მე თომას ბებია ვარ, მე მქვია ლიზი ბებია. ეს ჩემი ფოტოაპარატია.ფოტოაპარატით ფოტოებს ვიღებ.

ფოტოაპარატი

ლიზი ბებია

გამარჯობა! მე თომა მქვია. უკვე 7 წლის ვარ! მეორე კლასში ვსწავლობ.

თომა

გამარჯობა, მე მამია მქვია. მე ჯერ 6 წლის ვარ. მეც მეორე კლასში ვსწავლობ! მე და თომა კლასელები ვართ.

მამია

2 ***აირჩიე და მიუწერე კითხვებს სათანადო პასუხები.***

ბებიას | 6 წლის | 7 წლის | ლიზი | მეორე

რა ჰქვია თომას ბებიას? _____

ვის აქვს ფოტოაპარატი ? _____

რამდენი წლის არის თომა? _____

რამდენი წლის არის მამია? _____

რომელ კლასში სწავლობს თომა? _____

რომელ კლასში სწავლობს მამია? _____

3 ***მონიშნე, მართალია /+/ თუ მცდარია /-/.***

- ◯ თომას ბებიას ლიზი ჰქვია.
- ◯ თომა არის მამიას კლასელი.
- ◯ მამია არის მეორე კლასში.
- ◯ თომა არის 6 წლის.

4 ***წაიკითხე.***

მწვანე ფოთოლი

ყვითელი ფოთოლი

წითელი ფოთოლი

1 ***შეუსაბამე ტექსტი ნახატებს და მიუწერე, ვინ ლაპარაკობს.***

ია

მაია

მე მამიას და ვარ. უკვე ცხრა წლის ვარ და მეოთხე კლასში ვსწავლობ.

მე მქვია ———————

მე მამიას კლასელი ვარ. უკვე 7 წლის ვარ და მეორე კლასში ვსწავლობ.

მე მქვია ———————

2 ***წაიკითხეთ და გაითამაშეთ დიალოგები.***

– რამდენი წლის ხარ?

– რომელ კლასში ხარ?

– შენ დათოს კლასელი ხარ?

– რა გქვია?

– მე ვარ 10 წლის

– მე ვარ მეხუთე კლასში

– კი, მე დათოს კლასელი ვარ.

– მე ნათია მქვია.

– მე 9 წლის ვარ.

– მე მეოთხე კლასში ვარ.

– კი, მაიას კლასელი ვარ.

– მე ლუკა მქვია.

– შენ რამდენი წლის ხარ?

– რომელ კლასში ხარ?

– შენ მაიას კლასელი ხარ?

– რა გქვია?

3 ***წაიკითხე და მონიშნე.***

◯ ფოთოლი

◯ ფოთლები

◯ მერცხალი

◯ მერცხლები

4 ***დაუკავშირე სიტყვები ნახატებს და დაწერე ისინი სათანადო ადგილას.***

შენ

მე

მაქვს

გინდა

მქვია

გაქვს

გქვია

მინდა

1 *აირჩიე, რომელია სწორი და გადაწერე.*

◯ მერცხალი მიფრინავს.

◯ მერცხლები მიფრინავენ.

მოსწავლე სწავლობს.

◯ მოსწავლეები სწავლობენ. .

2 *აირჩიე და გადაწერე.*

მამია მიდის

მამია მოდის



თეას ქადა მოაქვს



თეას ქადა მიაქვს

1 *დააკვირდი და დაუკავშირე წინადადებები ნახატებს.*

◯ მერცხლები მოფრინავენ.

◯ მერცხლები მიფრინავენ.

3 *შეუდარე ტექსტი ნახატს და იპოვე ორი განსხვავება.*

შემოდგომაა, თბილა. მერცხლები მიფრინავენ. ხეზე ორი ყვითელი ფოთოლია. სკოლის პირველი დღეა. მოსწავლეები სკოლაში მიდიან. თომას ბებიაც აქ არის. მას სათვალე და კაშნე უკეთია, აცვია კაბა და აქვს ფოტოაპარატი. ლიზი ბებია ფოტოს უღებს თომას, იას და მამიას.

1 *წაიკითხე, გაიხსენე, რა არის და მიუწერე შესაბამის ნახატებს.*

თუთა ბალი მარწყვი კაკალი

_____



_____

_____

_____

2 *წაიკითხე და დაუკავშირე ხილი პერსონაჟს.*



მამიას უყვარს საზამთრო და ალუჩა.
იას უყვარს ნესვი და გარგარი.
თომას უყვარს ბროწეული და ყურძენი.
ლიზი ბებიას უყვარს ლეღვი.

3 ***მოძებნე და გამოყავი ხაზით.***

ბროწეულიალუჩაყურძენისაზამთრო

ლეღვიგარგარიბროწეულინესვი

4 ***მონიშნე, რომელი ხილი გიყვარს და ჩაწერე.***

ალუჩა ყურძენი ბროწეული ლეღვი გარგარი საზამთრო ნესვი

მე მიყვარს

5 ***დააკვირდი და წაიკითხე.***

კურკა

ნაჭუჭი

6 ***გახაზე, რომელ ხილს აქვს კურკა.***

ალუჩა თუთა ლეღვი გარგარი საზამთრო ბალი ატამი

1 *დაუკავშირე ნახატებს და მიუწერე ნომრები.*

◯ კურკა ◯ ნესვი

◯ ალუჩა ◯ ყურძენი ◯ ბროწეული ◯ ლეღვი

◯ გარგარი ◯ კაკალი ◯ საზამთრო

2 *წაიკითხე, გამოიცანი და მიუწერე, რომელი ხილია.*

1. მწვანე ფერისაა, პატარაა და აქვს კურკა.

ეს არის _____

2. მწვანე ფერისაა, დიდია და აქვს პატარა კურკები.

ეს არის _____

3. ყვითელი ფერისაა. დიდია და აქვს ძალიან პატარა კურკები.

_____

3 წაიკითხე და გაიაზრე, რას ნიშნავს *მაგარი / რბილი*

ლეღვი არ არის მაგარი. ლეღვი რბილია

კაკალი მაგარია. თხილი მაგარია.

4 ***წაიკითხე, დააჯგუფე და ჩაწერე სათანადო უჯრაში.***

გარგარი ვაშლი თხილი მარწყვი

მაგარი		რბილი
----------		----------
----------		----------

4 ***შეუსაბამე ნახატები სიტყვებს.***



4 ***მამიას უყვარს მკვახე ალუჩა და ვაშლი. შენ?***

მე მიყვარს ——————————————————————————

მე არ მიყვარს ——————————————————————————

1 *წაიკითხე ზაფხულის თვეები და დაწერე, რომელ თვეში რა მწიფდება.*



ზაფხული



ივნისი



ივლისი

აგვისტო

3 ***წაიკითხე და მიუწერე შესაბამისი ხილის სახელები.***

გარგარი	ლეღვი	ბალი

ივნისის თვეში მწიფდება _____

ივლისის თვეში მწიფდება _____

აგვისტოს თვეში მწიფდება _____

3 ***მონიშნე, მართალია /+/ თუ მცდარია /-/.***

- [ ] პირველად ბალი მწიფდება, შემდეგ – გარგარი.
- [ ] ჯერ ლეღვი მწიფდება, შემდეგ – გარგარი.
- [ ] ივლისში 30 დღეა.
- [ ] აგვისტოში 31 დღეა.
- [ ] ზაფხულში სამი თვეა: ივნისი, ივლისი, აგვისტო.

3 ***დააკვირდი ნახატებს, აირჩიე თვე და მიუწერე.***

ივნისი | ივლისი | აგვისტო



სწავლა მთავრდება.

ბავშვები გარგარს კრეფენ.

ია მდინარეში ბანაობს.

1 *წაიკითხე და მონიშნე, რომელი გიყვარს.*

ხურმა

გოგრა


ბროწეული


მანდარინი


ფორთოხალი

2 *მოძებნე და გამოყავი ხაზით.*

ფორთოხალიმერცხალიგოგრა

მანდარინიბროწეულიხურმა

3 *იპოვე ზედმეტი და გადახაზე.*

ივნისი ზაფხული აგვისტო ივლისი

ატამი გარგარი ალუჩა ლეღვი ბალი

4 *დააჯგუფე და ჩაწერე სათანადო ადგილას.*

ივნისი ზაფხული ივლისი აგვისტო შემოდგომა

წელიწადის დრო	თვე
_____	_____
_____	_____
_____	_____

5 *წაიკითხე და დაასახელე თვეები. დაასრულე წინადადებები.*

სექტემბერში მწიფდება ყურძენი და



ოქტომბერში მწიფდება თხილი და

ნოემბერში მწიფდება ბროწეული და

1 *დაუკავშირე ნახატები წინადადებებს და მიუწერე ნომრები.*



- [ ] ფოთლები ცვივა.
- [ ] ბებია ჩურჩხელას აკეთებს.
- [ ] სწავლა იწყება.

2 *დაალაგეთ წინა დავალების მოვლენები და ჩაწერე შესაბამისი თვეების უჯრებში.*

სექტემბერი

ოქტომბერი

ნოემბერი

3 *ითამაშე ლოტო.*



1 *გაეცანი შემოდგომის კალენდარს და შეასრულე მომდევნო გვერდზე მოცემული დავალებები.*



2 ***აარჩიე და დაასრულე წინადადებები.***

ოქტომბრის თვეში | ნოემბრის თვეში | სექტემბრის თვეში

ყურძენი მწიფდება ————————————————————————

თხილი მწიფდება ————————————————————————

ბროწეული მწიფდება ————————————————————

3 ***მონიშნე, მართალია /+/ თუ მცდარია /-/.***

- [ ] ფოთლები ჯერ ყვითლდება, შემდეგ ცვივა.
- [ ] ჯერ ყურძენი მწიფს, შემდეგ – თხილი, ბოლოს – გარგარი.
- [ ] ჯერ სექტემბერია, შემდეგ – ოქტომბერი, ბოლოს – ნოემბერი.

4 ***დააჯგუფე და ჩაწერე.***

ოქტომბერი ივლისი ნოემბერი აგვისტო სექტემბერი ივნისი

წელიწადის დროები		
ზაფხული		**შემოდგომა**
----------		----------
----------		----------
----------		----------

1 *შეუსაბამე ტექსტი ფოტოებს და მიუწერე ნომრები.*

☐ მე ია მქვია. შვიდი წლის ვარ. მე ვარ მამიას მეგობარი. მე მყავს ერთი ძმა და ერთი და. ჩემი ძმა ცხრა წლისაა და ლუკა ჰქვია. ჩემი და 12 წლისაა. მას მზია ჰქვია. მზია მეექვსე კლასშია. მე სმენიანი ვარ. მე მყავს ყრუ მამა. მე მამასთან ჟესტურ ენაზე ვსაუბრობთ.

☐ მე რეზო მქვია. ცხრა წლის ვარ. მე მაიას კლასელი ვარ. ჩემი და 14 წლისაა და მერვე კლასშია. მას სალომე ჰქვია. ჩემი ძმა შვიდი წლისაა და მეორე კლასშია. მე მყავს ყრუ დედა, ამიტომ ოჯახში ჩვენ ჟესტურ ენაზე ვსაუბროთ.

1 *უპასუხე კითხვებს.*

რა ჰქვია? _____

რამდენი წლის არის? _____

რომელ კლასშია? _____

რა ჰქვია? _____

რამდენი წლის არის? _____

რომელ კლასშია? _____

2 *დაეხმარე დათოს გამოცანის გამოცნობაში.*



ეს არის _____

1 *გაეცანი სქემას და უპასუხე კითხვებს.*





რა ფერისაა? _____

კურკა აქვს? _____

როდის მწიფდება? _____

მაგარია თუ რბილი? _____

2 *მზიამ გამოცანა მისწერა იას. აბა გამოიცანი.*

ია,
აბა გამოიცანი!
~~კურკა არა აქვს, რბილია, წითელია, მწიფდება გაზაფხულზე.~~
მზია

3 *შეადგინე და მისწერე გამოცანა შენს კლასელს.*

_____

_____

1 *წაიკითხე.*



2 *მოძებნე და გამოყავი ხაზით.*

რკოწაბლიგირჩა

წიწვიგირჩანაჭუჭი

მუხარკოწაბლიწიწვი

1 *წაიკითხე და შეუდარე ტექსტი ნახატს. სამი წინადადება მეორე სურათს ეკუთვნის. იპოვე და გაუსვი ხაზი.*

ბავშვები ტყეში არიან. შემოდგომაა. ხეებზე წითელი და ყვითელი ფოთლებია. ცაზე მზეა. მიწაზე გირჩები და თხილები ყრია. კუნძთან ერთი თეთრი სოკოა. ბალახზე ზღარბი მიდის. ნაძვის ხის ტოტზე ზის ბუ. რას აგროვებენ ბავშვები? ია აგროვებს შემოდგომის ფოთლებს. თომა აგროვებს გირჩებს. თათია რკოებს კრეფს. მამია სოკოს კრეფს.

1 *წაიკითხე და დააკვირდი.*

ფოთლები

ფოთლებს

კალათაში აწყვია რა? – ფოთლები.

ია აგროვებს რას?– ფოთლებს.

1 *დააკვირდი, აირჩიე და მიუწერე.*

გირჩას | გირჩა

კალათაში აწყვია *რა?* _____

თომა აგროვებს *რას?* _____

თხილს | თხილი

მამია აგროვებს *რას?* _____

კალათაში აწყვია *რა?* _____

რკო | რკოს

თათია აგროვებს *რას?* _____

კალათაში აწყვია *რა?* _____

1 *დააკვირდი სურათებს და დაუკავშირე კითხვები პასუხებს.*

რა არის ტოტზე? ●	● ციყვს.
რას ულებს ბებია ფოტოს? ●	● ციყვი.

2 *შეუსაბამე წინადადებები სურათებს და მიუწერე ნომრები.*

- [ ] ლიზი ბებია მიწაზე წევს.
- [ ] ლიზი ბებია ტოტზე ზის.
- [ ] მიწაზე სამი ფოთოლია.
- [ ] ლიზი ბებია ფოტოს ულებს ციყვს.
- [ ] ლიზი ბებია ფოტოს ულებს დათვს.
- [ ] ტყეში ნაძვის ხეებია.

3 ***დააკვირდი და წაიკითხე.***



დათვს აქვს დიდი ტანი. დათვის ტანი ბეწვითაა დაფარული.
ციყვს აქვს პატარა ტანი. ციყვის ტანი ბეწვითაა დაფარული.
ოფოფს აქვს პატარა ტანი. ოფოფის ტანი ბუმბულითაა დაფარული.

4 ***დააკვირდი და წაიკითხე.***



5 ***იპოვე შეცდომა და გადახაზე.***

ტანი ბეწვით აქვს დაფარული:
ლომს, მგელს, კუს, თხას, ნიანგს, კურდღელს, ხვლიკს, კატას

1 *დააკვირდი და წაიკითხე.*

ხტება ციყვი საიდან სად?

ციყვი ხტება ტოტიდან ტოტზე.

კენწერო

ხტება ხიდან ხეზე. რა არის? _____

ხტება ხის კენწეროდან მიწაზე. რა არის? _____

ხტება მაგიდიდან სკამზე. რა არის? _____

2 *დააკვირდი და წაიკითხე.*

კატა სვამს რძეს = კატა იკვებება რძით.
მაიმუნი ჭამს ბანანს = მაიმუნი იკვებება ბანანით.
ციყვი ჭამს თხილს = ციყვი იკვებება თხილით.

3 *დაუკავშირე კითხვები პასუხებს.*

რას ჭამს დათვი? ●
რით იკვებება დათვი? ●

● თაფლით.
● თაფლს.

4 *აირჩიე და მიუწერე პასუხი.*

თაფლით თაფლი თაფლს

რა აქვს დათვს? _____

რით იკვებება დათვი? _____

რას ჭამს დათვი? _____

1 *გამოჭერი წიგნის ბოლოს ციყვის სურათები. შეუსაბამე ტექსტის მონაკვეთებს და ჩააწებე სათანადო ადგილას. მოუყევი ციყვის შესახებ შენს უმცროს მეგობრებს, ოჯახის წევრებს.*

როგორია?

ციყვს აქვს ლამაზი, გრძელი და ფუმფულა კუდი. მას აქვს გრძელი ყურები და ოთხი თათი. ტანი ციყვს ბეწვით აქვს დაფარული.

რა შეუძლია?

ციყვები თავისუფლად ხტებიან ერთი ტოტიდან მეორეზე, შეუძლიათ ხის კენწეროდან მიწაზე ჩამოხტომაც.

თავისი ძლიერი კბილებით ციყვი ღრღნის მაგარ ნაჭუჭს.

რით იკვებება?

ციყვები იკვებებიან ხილით, კაკლით, თხილით, წაბლით, სოკოებით, გირჩებით, ფრინველების კვერცხებით, მწერებითა და პატარა ხვლიკებით. ყველაზე ძალიან ციყვს თხილი და კაკალი უყვარს.

როგორ ემზადება ზამთრისთვის?

ციყვები საზამთროდ აგროვებენ თხილს, კაკალს, სოკოს, წაბლს და ხეების ფუღუროებში ინახავენ.

ზამთარში ცივა, ყველაფერი თოვლითაა დაფარული და საკვები არ არის. ჰოდა, ციყვებიც ფუღუროებში დაგროვებულ საკვებს ჭამენ.

1 *წაიკითხე.*

ვენახი

ვაზი

ფქვილი

ფელამუში

ყურძნის მარცვალი

ყურძნის მტევანი

საწური

ყურძნის წვენი

ნიგვზის აცმა

ცეცხლი

2 *მიუწერე სიტყვები შესაბამის ნახატებს.*

წვენი | ფელამუში | ფქვილი | ყურძენი

3 ***ლიზი ბებიას მანქანით.***

ლიზი ბებია და თომას ამხანაგები მამიასთან მიდიან სოფელში. მამიას ვენახი აქვს. ბავშვები მამიას ბებიამ დაპატიჟა რთველში.

4 ***გამოიცანი, ვინ არის და მიუწერე.***

თომა

ია მამია

ბაბუა

ლიზი ბებია

მამიას ბებია

ყურძენს წურავს. *ვინ არის?* _____

ვენახში კრეფენ და აგროვებენ ყურძენს.

ვინ არიან? _____

ცეცხლზე ადუღებს ყურძნის წვენს და ფქვილს, აკეთებს ფელამუშს. *ვინ არის?* _____

აკეთებს ნიგვზის აცმებს და ჯამში აწყობს. ვინ არის? _____

ამოავლებს ნიგვზის აცმას ქვაბში და კიდებს ჩურჩხელას.

ვინ არის? _____

1 *წაიკითხე.*

წურავს ყურძენს

ამოავლებს აცმას

კრეფს ყურძენს

აკეთებს ფელამუშს

2 *ჩაწერე უჯრებში საქმიანობები დროითი თანამიმდევრობით.*

1

2 _____

3 _____

4 _____

5 _____

6



3 *წაიკითხე.*



4 ***დააკავშირე და დაასრულე წინადადებები.***

მწერი

ფრინველი

ქათამი, ოფოფი, მერცხალი არის ——————————————

კალია, ბუზი, კოღო არის ——————————————

5 ***შეუსაბამე წინადადება სურათს და მიუწერე, რომელი ფრინველია.***

მაკრატელი

ზურგი

მუცელი



მერცხალი

ოფოფი

ბუმბული მუცელზე თეთრი ფერისაა, ზურგზე - შავი ფერის.

——————————————————————————————

მას აქვს მოკლე ნისკარტი, გრძელი და ვიწრო ფრთები. ————————

მას აქვს გრძელი, ვიწრო ფრთები და გრძელი ნისკარტი.

——————————————————————————————

ბუმბული ფრთებზე თეთრი და შავი ფერისაა. ——————————————

კუდი მაკრატელს ჰგავს. ——————————————

1 ***შეუსაბამე ტექსტი სურათებს და მიუწერე შესაბამისი ნომრები.***

მერცხალი

☐ მერცხალი ფრენის დროს ჰაერში იჭერს მწერებს.

☐ მერცხალს ტანი შავი და თეთრი ბუმბულით აქვს დაფარული: მუცელზე მისი ბუმბული თეთრი ფერისაა. თავზე, ზურგსა და ფრთებზე მისი ბუმბული შავი ფერისაა. მერცხალს აქვს მოკლე და ფართო ნისკარტი, ვიწრო და გრძელი ფრთები. მერცხლის გრძელი, ორად გაყოფილი კუდი ჰგავს გახსნილ მაკრატელს, რის გამოც მას „კუდმაკრატელას“ ეძახიან.

☐ მერცხლები ვერ იტანენ ცივ ზამთარს; თანაც ზამთარში მწერები არ არიან და მერცხლებს საკვები არა აქვთ. ამიტომ შემოდგომაზე ისინი ერთად გროვდებიან და გუნდ-გუნდად მიფრინავენ შორს, თბილ ქვეყნებში.

☐ მერცხალი იკვებება ბუზებით, კოღოებით, პეპლებით, კალიებით, ხოჭოებით.

1 ***ჩაწერე კითხვები სათანადო ადგილას.***

რა შეუძლია? | რით იკვებება? | როგორია?

როგორ ემზადება ზამთრისათვის?

1

4

2



3

1 *გამოჭერი ილუსტრაციები და ტექსტის მონაკვეთები წიგნის ბოლოს. შეუსაბამე ისინი მთავარ შეკითხვებს და ჩააწებე სათანადო ადგილას. გააცანი ტექსტი უმცროს მეგობრებს, ოჯახის წევრებს.*

როგორია?

რა შეუძლია?

რით იკვებება?

როგორ ემზადება ზამთრისთვის?

1 ***წაიკითხე და გამოიცანი, რომელი ცხოველები ჰგვანან ერთმანეთს.***

ტყის თაგვი

ეს ტყის თაგვია. მას აქვს ძლიერი კბილები. ტყის თაგვი კბილებით ღრღნის თხილს, კაკალს.

ტყის თაგვი შემოდგომაზე აგროვებს გირჩას, სოკოს, რკოს. ზამთარში იკვებება შემოდგომაზე დაგროვებული საკვებით.

თავისი ქცევით რომელ ცხოველს ჰგავს ტყის თაგვი? _____

დაასაბუთე შენი პასუხი.

ზღარბი

ზღარბი ზამთარში არ იკვებება. იგი გამოთხრის მიწაში პატარა ბუნაგს, შიგნით დააფენს ფოთლებს, ხავსს, თივას და დაიძინებს.

თავისი ქცევით რომელ ცხოველს ჰგავს ზღარბი? _____

ოფოფი

ოფოფები მწერებით იკვებებიან. ზამთარში მწერები არ არიან და ოფოფებს საკვები არა აქვთ. ამიტომ ისინი შემოდგომაზე თბილი ქვეყნებისაკენ მიფრინავენ.

თავისი ქცევით რომელ ფრინველს ჰგავს ოფოფი? ————————

დაასაბუთე შენი პასუხი.

ჩხიკვი

ჩხიკვი არ არის გადამფრენი ფრინველი. ის ტყეში იზამთრებს. შემოდგომაზე ჩხიკვი აგროვებს რკოს, მწერებს და ფუღუროში ინახავს. ჩხიკვი ზამთარში ფუღუროში ცხოვრობს და დაგროვებული საკვებით იკვებება.

თავისი ქცევით რომელ ფრინველს ჰგავს ჩხიკვი? ————————

1 *გამოიყენე ნასწავლი ტექსტები და წერილობით უპასუხე კითხვებს.*

ჩხიკვი

ოფოფი

ზღარბი

ტყის თაგვი

მერცხალი

დათვი



ციყვი

რომელს აქვს ტანი ბუმბულით დაფარული?

_____

რომელს აქვს ტანი ბეწვით დაფარული?

_____

რომელი იძინებს ზამთარში?

_____

რომელი მიფრინავს შემოდგომაზე?

_____

რომელი აგროვებს საკვებს ზამთრისათვის?

_____

1 *შეადგინე ტექსტი ტყის თაგვზე.*

როგორია?

_____

_____

რა შეუძლია?

_____

_____

რით იკვებება?

_____

_____

როგორ ემზადება ზამთრისთვის?

_____

_____

1 *წაიკითხე*

მოტოციკლეტი

ავტობუსი

მძღოლი

ტრანსპორტი

მეტრო

ველოსიპედი

სამარშრუტო ტაქსი

ტაქსი

4 *მიუწერე, რა არის.*

2 *წაიკითხე და მონიშნე მცდარი ინფორმაცია.*

ლიზი ბებია ატარებს მანქანას

მძღოლი ატარებს ავტობუსს

ია ატარებს ველოსიპედს

ბიჭი ატარებს მოტოციკლეტს.

3 *დააკვირდი. აირჩიე და მიუწერე, ვინ არის.*

სალომე

ია

ლუკა

სამარშრუტო ტაქსში ადის _____

მანქანაში ზის _____

მეტროში ჩადის _____

1 ***წაიკითხე.***

მგზავრი

მძღოლი

ტროტუარი

ფეხით მოსიარულე

პოლიციელი

2 ***წაიკითხე, აირჩიე და დაასრულე.***

მგზავრი | პოლიციელი | ფეხით მოსიარულე | მძღოლი

ავტობუსს ატარებს ——————————————————

ავტობუსით მგზავრობს ——————————————————

ტროტუარზე დადის ——————————————————

პოლიციის მანქანაში ზის ——————————————————

3 ***დაუკავშირე სიტყვა ნახატს.***

ველოსიპედი

მძღოლი

მეტრო

ავტობუსი

ტაქსი

მგზავრი

4 ***დააკვირდი, რით მგზავრობენ და დაუკავშირე წინადადება ნახატს.***

- ☐ მე ხშირად ვმგზავრობ მანქანით.
- ☐ მე ხშირად ვმგზავრობ სამარშრუტო ტაქსით.
- ☐ მე ხშირად ვმგზავრობ მეტროთი.
- ☐ მე ხშირად ვმგზავრობ თვითმფრინავით.
- ☐ ჩვენ ხშირად ვმგზავრობთ მატარებლით.

5 ***დაწერე, შენ რით მგზავრობ ხშირად.***

მე ხშირად _____

6 ***იპოვე შეცდომები და გადახაზე.***

ტრანსპორტის სახეებია:

მანქანა	ველოსიპედი	მატარებელი	სკამი
თვითმფრინავი	ტაქსი	ტახტი	მეტრო

7 ***რომელი ტრანსპორტით გინდა მგზავრობა? შემოხაზე.***



1 ***წაიკითხე.***

შუქნიშანი

გადასასვლელი

ტროტუარი

გაჩერება

2 ***შეუსაბამე წარწერები ნახატებს.***

- ☐ ლუკა გადასასვლელთან დგას.
- ☐ ლუკა გაჩერებაზე დგას.
- ☐ ლუკა ქუჩაზე გადადის.

3 ***დაუკავშირე წინადადებები ნახატებს.***





1. წითელი შუქი ანთია, ლუკა დგას და ელოდება მწვანე შუქს.
2. წითელი შუქი ანთია, ლუკა არ ელოდება მწვანე შუქს და ქუჩაზე გადადის.
3. მწვანე შუქია და ლუკა ქუჩაზე გადადის.
4. გადასასვლელი არ არის, ლუკა ქუჩაზე გადადის.





4 *მასწავლებლის დახმარებით კლასელებთან ერთად ითამაშე ლოტო.*

1	2	3
4	5	6
7	8	9

1 ***წაიკითხე.***

2 ***წაიკითხე, წინადადებები დაუკავშირე ნახატებს და მიუწერე ნომრები.***

- ☐ მაგიდაზე აწყვია საშლელი, ფუნჯი, სახაზავი, ფანქრები.
- ☐ მაგიდაზე აწყვია ფუნჯი, ფანქარი, საშლელი, კალამი, რვეული.
- ☐ მაგიდაზე აწყვია სახაზავი, ფუნჯი, რვეული, ფერადი ფანქრები.

3 ***აირჩიე და მიუწერე.***

ფანქარი | კალამი | რვეული | სახაზავი

4 ***წაიკითხე, აირჩიე და ჩაწერე ცარიელ უჯრებში.***

ხილი სათამაშო ტანსაცმელი ბოსტნეული

პომიდორი კიტრი სტაფილო

ბურთი მანქანა თოჯინა

ბანანი ყურძენი ვაშლი

კაბა პერანგი შარვალი

5 ***იპოვე ზედმეტი და გადახაზე. დაასაბუთე შენი პასუხები.***

კიტრი კაბა შარვალი პერანგი

ბურთი კუბი თოჯინა რვეული

სახაზავი კალამი სტაფილო რვეული

1 ***წაიკითხე და დაუკავშირე.***

ნაყინი

კარაქი

მაწონი

კანფეტი



კვერცხი

ყველი

პური

წვენი

რძე

2 ***წაიკითხე.***

1 ორცხობილა

2 ეკლერი

ნამცხვარი

3 ტორტი

3 ***წაიკითხე და იპოვე, რა არის ტკბილი. გაუსვი ხაზი და გადაიწერე.***

ყველი პური კანფეტი კვერცხი ნამცხვარი მაწონი

ტკბილი არის _____

4 ***წაიკითხე, გაუსვი ხაზი საჭმელს და გადაიწერე.***

კალამი კვერცხი რვეული ბურთი ნამცხვარი ფორთოხალი

საჭმელი არის _____

5 ***წაიკითხე და უპასუხე კითხვებს.***



ბურთს თამაშობ. რომელი ფეხსაცმელი გაცვია? _____

ზაფხულია, ცხელა. რომელი ფეხსაცმელი გაცვია? _____

წვიმს. რომელი ფეხსაცმელი გაცვია? _____

6 ***წაიკითხე.***

აფთიაქი

წამალი

საპონი

კბილის ჯაგრისი

კბილის პასტა

7 ***წაიკითხე და დააკავშირე.***

ვიხეხავ კბილებს.

ვიბან ხელებს.

1 ***დააკვირდი, წაიკითხე და თქვი ჟესტურად.***

სალომე მაღაზიაშია.

სალომე კარაქს ყიდულობს.

სალომემ კარაქი იყიდა.

2 ***შეუსაბამე სურათები წინადადებებს და მიუწერე ნომრები.***

1

2

3

- ◯ სალომემ პური იყიდა.
- ◯ სალომე პურს ყიდულობს.
- ◯ ბავშვებმა ნაყინი იყიდეს.

3 ***დააკვირდი მაღაზიებს და მათ სახელებს. შემდეგ აირჩიე და დაასრულე წინადადებები.***

მარკეტში | სათამაშოების მაღაზიაში | აფთიაქში

იამ კბილის ჯაგრისი იყიდა _____

თეამ კვერცხი იყიდა _____

თომამ მატარებელი იყიდა _____

მარკეტი

საკანცელარიო ნივთები

აფთიაქი



სათამაშოების მაღაზია

1 ***დააკვირდი მაღაზიებს და მიუწერე სახელები.***

ნამცხვრების მაღაზია	ფეხსაცმლის მაღაზია
წიგნების მაღაზია	ტანსაცმლის მაღაზია
სათამაშოების მაღაზია	საკანცელარიო ნივთების მაღაზია



2 ***დააკვირდი და დაწერე, რომელ მაღაზიაში რა იყიდება.***


ყველი

მანქანა

ტორტი

წამალი

ბოტები

პომიდორი

ყურძენი

საშლელი

სახაზავი

ნაცხვრების მაღაზიაში: ——————————————————————

ფეხსაცმლის მაღაზიაში: ——————————————————————

აფთიაქში: ——————————————————————————————

საკანცელარიონივთებისმაღაზიაში: ——————————————

სათამაშოების მაღაზიაში: ——————————————————————

ხილ-ბოსტნეულისმაღაზიაში: ——————————————————

1 ***წაიკითხე და გააფერადე.***

ბოტასები



ბატი

ჭუკები

საფულე



კბილის ჯაგრისი

ეს დედა ბატია. დედა ბატს ლურჯი ქუდი ახურავს. მას აქვს საფულე. საფულე ყვითელი და წითელი ფერისაა. ეს ჭუკების ბოტასებია. ბოტასები ყავისფერი და მწვანე ფერისაა. ეს დედა ბატის ჯაგრისია. ჯაგრისი ლურჯი ფერისაა.

2 ***გაიხსენე სიტყვა „მარცვალი“ და წაიკითხე.***

ყურძენი

ყურძნის მარცვალი

ბროწეული

ბროწეულის მარცვალი

ატამი

ა-ტა-მი

სიტყვა

სიტყვის მარცვალი

3 ***იპოვე და შემოხაზე მარცვალი ნა***

მანქანა ვენახი ნაყინი

რას ყიდულობენ ბატები

(მ. წიკლაურის ლექსი)

4 ***ლექსში მსგავსი ხმოვანების მარცვლებია. ისინი ერთი ფერითაა გაფერადებული. დააკვირდი და წაიკითხე ლექსი.***

გზაზე მიდის ორი ბატი
და ორივე ყიყინებს,
ჭუკებისთვის ბურთები და
თოჯინები იყიდეს.

სად იყვნენ ბატები საფულით და ჩანთებით? _____

_____

გზაზე მიდის სამი ბატი
და სამივე ყიყინებს,
ჭუკებისთვის ქუდები და
ტანსაცმელი იყიდეს.

სად იყვნენ ბატები საფულით და ჩანთებით? _____

_____

თავი 10

1 *წაიკითხე ლექსი და იპოვე ნახატის შესაბამისი სტროფი.*

2 *უპასუხე კითხვებს.*

3 *გააფერადე ნახატები, გააფორმე ლექსი დამატებითი ნახატებით.*

გზაზე მიდის ოთხი ბატი
და ოთხივე ყიყინებს,
ჭუკებისთვის ბოტები და
ბოტასები იყიდეს.



სად იყვნენ ბატები საფულით და ჩანთებით? _____

_____



გზაზე მიდის ხუთი ბატი
და ხუთივე ყიყინებს,
ჭუკებისთვის ჯაგრისი და
კბილის პასტა იყიდეს.



გზაზე მიდის ექვსი ბატი
და ექვსივე ყიყინებს,
ჭუკებისთვის წიგნები და
კალენდარი იყიდეს.

სად იყვნენ ბატები საფულით და ჩანთებით? _____

_____

4 ***მასწავლებლის დახმარებით წყვილებში ითამაშეთ „კოდების ცვლა“: წაიკითხე სტრიქონი დაქტილის გამოყენებით, მოწინააღმდეგე გამოიცნობს, რომელი სტროფია და გაიმეორებს მას ჟესტურ ენაზე.***



გზაზე მიდის შვიდი ბატი
და შვიდივე ყიყინებს,
ჭუკებისთვის კალმები და
რვეულები იყიდეს.

გზაზე მიდის რვა ბატი
და ყველა ერთად ყიყინებს,
ჭუკებისთვის ტორტები და
ორცხობილა იყიდეს.



სად იყვნენ ბატები საფულით და ჩანთებით? _____

_____



გზაზე მიდის ცხრა ბატი
და ყველა ერთად ყიყინებს,
ჭუკებისთვის ბანანი და
ფორთოხალი იყიდეს.



სად იყვნენ ბატები საფულით და ჩანთებით? _____

_____

1 ***წაიკითხე კვირის დღეები.***



რომელ დღეებში არ მიდის მამია სკოლაში?

2 ***წაიკითხე და მონიშნე, მართალია /+/ თუ მცდარია /-/.***

მამია სკოლაში ხუთ დღეს დადის: ორშაბათს, სამშაბათს ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს. ☐

მამია სკოლაში არ დადის შაბათსა და კვირას. ☐

მამია ისვენებს ერთი დღე. ☐

3 *დააკვირდი სქემას და უპასუხე კითხვებს.*

კვირის დღეები

1. კვირა
2. ორშაბათი
3. სამშაბათი
4. ოთხშაბათი
5. ხუთშაბათი
6. პარასკევი
7. შაბათი

ერთი კვირა

რამდენი დღეა ერთ კვირაში? _____

კვირის რომელ დღეებში ისვენებ? _____

კვირის დღეების რომელ სახელებშია „შაბათი“? ამოწერე:

_____

- დაფიქრდი, რა მსგავსებაა ჟესტურ სახელებთან და უთხარი მასწავლებელს.

4 *იპოვე ზედმეტი და გადახაზე.*

სამშაბათი	პარასკევი	ოქტომბერი	შაბათი	კვირა

ივნისი	აგვისტო	სექტემბერი	ნოემბერი	ორშაბათი

თავი 11 კვირის რომელი დღე გიყვარს?

1 ***დააკვირდი ოქტომბრის თვის კალენდარს, წაიკითხე წარწერები.***

2 ***წაიკითხე, იპოვე შეცდომა და გაუსვი ხაზი. გაასწორე და გადაიწერე.***

5 ოქტომბერი არის შაბათი.

16 ოქტომბერი არის ოთხშაბათი.

25 ოქტომბერი არის ხუთშაბათი.

27 ოქტომბერი არის კვირა და მოსწავლეები არ მიდიან სკოლაში.

ოქტომბერში ოთხი შაბათია.

ოქტომბერში ხუთი სამშაბათია.

_____

3 ***უპასუხე კითხვებს.***

კვირის რომელი დღეა 7 ოქტომბერი? _____

კვირის რომელი დღეა 14 ოქტომბერი? _____

კვირის რომელი დღეებია 21 და 28 ოქტომბერი? _____

რამდენი ორშაბათია ოქტომბრის თვეში? _____

კვირის რომელი დღეებია 6, 13, 20, 27 ოქტომბერი?

_____

რამდენი კვირა დღეა ოქტომბერში? _____

1 ***წაიკითხე.***

სასრიალო

ატრაქციონი

სკეიტბორდი

ზოოპარკი

მტრედი

გორგოლაჭები

პარაშუტი

ნაყინი

2 ***მოძებნე და გამოყავი ხაზით.***

ნაყინიმტრედიგორგოლაჭები

პარაშუტისკეიტბორდისასრიალო

3 ***აირჩიე და გადაწერე.***

ზოოპარკი
გორგოლაჭები _____

პარაშუტი
სკეიტბორდი _____

4 ***შეადგინე მარცვლებისაგან სიტყვები.***

ჭი გორ ლა გო _____

კი ზო ო პარ _____

5 ***შეუსაბამე წინადადები ნახატებს და მიუწერე, ვინ არის.***

სოსო

ლუკა

ია

დათო

სალომე

თომა

ჭადრაკს თამაშობს. ვინ არის? _____

ფეხბურთს თამაშობს. ვინ არის? _____

ზოოპარკში შედის. ვინ არის? _____

გოორგოლაჭებით სრიალებს. ვინ არის? _____

მტრედებს საჭმელს უყრის. ვინ არის? _____

სკეიტბორდით სრიალებს. ვინ არის? _____

1 *დაკვირვებით წაიკითხე სურათების ქვემოთ მოცემული წინადადებები.*

მე ვატარებ ველოსიპედს.

შენ ატარებ ველოსიპედს.

ის ატარებს ველოსიპედს.

ჩვენ ვატარებთ ველოსიპედს.

თქვენ ატარებთ ველოსიპედს.

ისინი ატარებენ ველოსიპედს.

2 *წაიკითხე, აირჩიე და მიუწერე შესაბამის სურათს.*

ისინი ცეკვავენ.

ის ცეკვავს.

ჩვენ ვჭამთ ნაყინს.

მე ვჭამ ნაყინს.

1 ***შეუსაბამე სურათები წინადადებებს და მიუწერე შესაბამისი დღე.***

ორშაბათი

სამშაბათი

ოთხშაბათი

ხუთშაბათი

პარასკევი

შაბათი

კვირა

ძაღლს ვასეირნებ. _____

კვირას ზოოპარკში მივდივარ. _____

ჭადრაკს ვთამაშობ. _____

ფეხბურთს ვთამაშობ. _____

სკეიტბორდით ვსრიალებ. _____

ისეც ფეხბურთს ვთამაშობ. _____

ტელევიზორს ვუყურებ. _____

3 ***დაუკავშირე რეპლიკები ერთმანეთს.***

– შენ რომელი დღე გიყვარს?

– რატომ გიყვარს ოთხშაბათი?

–კვირა არ გიყვარს?

რატომ?

– იმიტომ, რომ ოთხშაბათს ჭადრაკს ვთამაშობ.

– არა, კვირა არ მიყვარს.

– მე მიყვარს ოთხშაბათი.

– იმიტომ, რომ გაკვეთილებს ვამზადებ ორშაბათისთვის.

1 ***წაიკითხე და დაუკავშირე კითხვები პასუხებს.***

– რომელი დღე გიყვარს?

–მე მიყვარს ორშაბათი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ორშაბათს ხატვაზე დავდივარ.

– შენ რომელი დღე გიყვარს?

– მე შაბათი მიყვარს.

– რატომ გიყვარს შაბათი?

– იმიტომ რომ, შაბათს ზოოპარკში დავდივარ.

2 ***დაკვირვებით წაიკითხე წინადადებები.***

მე მიყვარს ნაყინი.

ჩვენ გვიყვარს ნაყინი.

მას უყვარს ცეკვა.

3 ***დააკვირდი, აირჩიე და მიუწერე.***

მე მას ჩვენ შენ

——————————— მიყვარს ნაყინი.

——————————— გიყვარს გორგოლაჭები.

——————————— გვიყვარს ნაყინი.

——————————— უყვარს ცეკვა.

4 ***გაიხსენე და მიუწერე.***

შენ მას მე

——————— მინდა მსხალი.

——————————— გინდა ატამი

——————————— უნდა ბალი.

5 ***დახატე და დაწერე, შენ რა გიყვარს.***

მე მიყვარს ——————————————————————————

1 *შეუსაბამე წინადადებები ნახატებს და მიუწერე შესაბამისი ნომრები.*

- ☐ მე შაბათი მიყვარს იმიტომ, რომ შაბათს ზოოპარკში დავდივარ.
- ☐ მე ხუთშაბათი მიყვარს იმიტომ, რომ ხუთშაბათს პარაშუტით ვხტები.
- ☐ მე პარასკევი მიყვარს იმიტომ, რომ პარასკევს მე და ლიზი ბებია მოტოციკლეტით ვსეირნობთ.
- ☐ მე სამშაბათი მიყვარს იმიტომ, რომ სამშაბათს გორგოლაჭებით ვსრიალებ.

2 *შეუსაბამე წინადადებები ნახატებს და მიუწერე შესაბამისი ნომრები.*

1

2

3

4

- ☐ მე ფეხბურთზე მეტროთი დავდივარ.
- ☐ მე ხატვაზე ველოსიპედით დავდივარ.
- ☐ ჩვენ ექსკურსიაზე მანქანით დავდივართ.
- ☐ მე სკოლაში ფეხით დავდივარ.

თავი 11 კვირის რომელი დღე გიყვარს?

1 ***წაიკითხე ტექსტი. ტექსტზე დაყრდნობით მიუწერე სურათებს კვირის დღეები.***

ხუთშაბათი



ოთხშაბათი დღე ძალიან მიყვარს იმიტომ, რომ ოთხშაბათს გორგოლაჭებით ვსრიალებ. მიყვარს კვირა დღეც! კვირას მე და ჩემი მეგობრები ლიზი ბებიას მანქანით ვსეირნობთ. ხან სოფელში მივდივართ, ხან ტყეში, ხან – ზოოპარკში. ორშაბათს ველოსიპედს ვატარებ, სამშაბათს ვცურავ. ხუთშაბათს ნაყინს ვჭამ. პარასკევს სკოლის ეზოში სასრიალოზე ვსრიალებ, შაბათს კი მტრედებს საჭმელს ვუყრი.



მე მიყვარს ბავშვები, ცხოველები და მოგზაურობა. ამიტომ ხშირად ვმოგზაურობ, ცხოველებს ფოტოებს ვუღებ და ბავშვებთან ერთად ვსეირნობ. შაბათს და კვირას თომა და მისი მეგობრები სკოლაში არ მიდიან და ჩვენ ერთად ვართ. შაბათობით მე და ბავშვები მატარებლით ვსეირნობთ. კვირა დღეს ხშირად ზოოპარკში მივდივართ. იქ ერთი მეგობარი თეთრი დათვი მყავს, მას ძალიან უყვარს თევზი. ამიტომ მარკეტში თევზს ვყიდულობ, მიმაქვს და ვაჭმევ.

ოთხშაბათსა და ხუთშაბათს ვსაქმიანობ. ოთხშაბათს საყიდლებზე დავდივარ და მთელი კვირისთვის ვყიდულობ ბოსტნეულს, ხილს, ფქვილს, კვერცხს, კარაქს, ყველსა და სხვა სურსათს. ხუთშაბათს ტორტს ვაცხობ იმიტომ, რომ საღამოს თომა მოდის ჩემთან.

სხვა დღეებში ქალაქიდან გავდივარ და ბუნებაში ვსეირნობ. ორშაბათს ველოსიპედით ვსეირნობ, სამშაბათს მოტოციკლეტს ვატარებ, პარასკევს კი პარაშუტით ვხტები და ფრინველებს ფოტოებს ვუღებ. ძალიან მიყვარს პარაშუტით ფრენა!

1 *შეუსაბამე ლექსი სურათებს და მიუწერე მათ შესაბამისი ნომრები.*

დათვი და ტრანსპორტი

(მარიამ წიკლაურის ლექსი)





1 დაბაჯბაჯებს ოთხი თათით.
როცა დაიღლება დათვი,
ტყეში ტრანსპორტითაც დადის.

2 ორშაბათს და სამშაბათს
მოტოციკლეტს ატარებს.
ოთხშაბათს და ხუთშაბათს
მეტროში სვამს პატარებს. 3

4 პარასკევ დღეს ავტობუსს
ელოდება ხესთან.
შაბათს თავის მანქანას
წყლით და საპნით რეცხავს. 5

6 კვირას სტუმრად მიჰყავს ბელი,
ბელს ბებია დათვი ელის.

თავი 12 ციყვები ქუჩაში *(მარიამ წიკლაურის ზღაპრის მიხედვით)*

1 ***დაუკავშირე სახელები შესაბამისი ცხოველების ნახატებს.***



სელაპი

ჟირაფი

სპილო

ყანჩა

ვეფხვი

ზებრა

2 ***შეუსაბამე ტექსტის მონაკვეთები ნახატებს და მიუწერე ნომრები.***

1 ელენე და ანდრია ქალაქში ცხოვრობენ. აქ ბევრი ქუჩა და მოედანია, არის კინოთეატრები და ატრაქციონები.

2 ბავშვებს ბებია ყოველთვის ატანს კალათით საკვებს ზოოპარის ცხოველებთან. რას არ ნახავთ ამ კალათში: სტაფილოს, კიტრს, ბანანს, თაფლს, წაბლს, ხორცს. საჩუქარი ყველას ახარებს!

3 ელენესა და ანდრიას ყველაზე მეტად უყვართ ზოოპარკში ყოფნა. მათ ბევრი მეგობარი ჰყავთ: კურდღელი, ჟირაფი, ზებრა, დათვი, სპილო, სელაპი, მაიმუნი, ყანჩა, მგელი თუ ვეფხვი. ყველა ელოდება ელენესა და ანდრიას გამოჩენას.

3 ***დახატე შენი საყვარელი ცხოველი.***

1 *შეუსაბამე ტექსტის მონაკვეთები ნახატებს და მიუწერე ნომრები.*

4 ანდრია და ელენე ყოველ კვირა დღეს მიდიან ზოოპარკში. სახლიდან ზოოპარკამდე ერთი ქუჩაა გადასასვლელით. ელენე და ანდრია გადასასვლელთან ჩერდებიან, ელოდებიან შუქნიშნის მწვანე ფერის ანთებას, გადადიან ქუჩის მეორე მხარეს. იქვეა ზოოპარკის შესასვლელიც.

5 ზოოპარკის ეზოში, ერთ მაღალ ხეზე, ციყვებს აქვთ ფუღურო. ბავშვები ციყვებთანაც მეგობრობენ. ციყვები მთელი დღე ზევით-ქვევით დახტიან. ხან გირჩებს აგროვებენ, ხან თამაშობენ, ხან ელენესა და ანდრიას მორთმეულ თხილსა და კაკალს აკნატუნებენ.

6 კვირა დღეა, 13 ოქტომბერი. ელენე და ანდრია კლასელებთან ერთად ავტობუსით ექსკურსიაზე მიდიან.

2 ***შემოხაზე, რომელ დღეს მიდიან ელენე და ანდრია ექსკურსიაზე.***

ლიზი ბებიას შეკითხვები!

1 *რომელ ცხოველს რა უყვარს, მიუწერე:*

სტაფილო ბანანი თაფლი ხორცი

მგელს უყვარს ——————————————————————

მაიმუნს უყვარს ——————————————————————-

დათვს უყვარს ——————————————————————

კურდღელს უყვარს ——————————————————

2 *რომელ ცხოველს აქვს ფრთები? იპოვე ტექსტის მესამე მონაკვეთში (გვ. 137) მისი სახელი და ამოიწერე.*

——————————————————————————————

3 *რომელი ცხოველი ცურავს? იპოვე ტექსტის მესამე მონაკვეთში (გვ. 137) მისი სახელი და ამოიწერე.*

——————————————————————————————

4 *რომელი ცხოველი ძვრება ხეზე? იპოვე ტექსტის მესამე მონაკვეთში (გვ. 137) მისი სახელი და ამოიწერე.*

——————————————————————————————

5 *რომელ ცხოველებს აქვთ ტანი ბეწვით დაფარული? იპოვე ტექსტის მესამე მონაკვეთში (გვ. 137) მისი სახელი და ამოიწერე.*

——————————————————————————————

6 *მონიშნე, მართალია /+/ თუ მცდარია /—/ ? შენი პასუხი დაასაბუთე.*

☐ ანდრიას და ელენეს ცხოველები უყვართ.

☐ ანდრია და ელენე ქუჩაზე სწორად გადადიან.

7 ***წაიკითხე და მონიშნე, სად არის ეს ინფორმაცია – სურათზე თუ ტექსტში. მონიშნე ნიმუშის მიხედვით.***

	სურათზე	ტექსტში
1. ქალაქში არის ატრაქციონები.	+	+
2. ელენეს აქვს კიკინები და აცვია ყვითელი მაისური.		
3. ბავშვებს ზოოპარკში საკვები მიაქვთ.		
4. ბავშვები ზოოპარკში კვირა დღეს მიდიან.		
5. ციყვების ხე დგას სპილოს გალიასთან.		
6. ექსკურსიის ავტობუსი ყვითელი ფერისაა.		

8 ***დაუკავშირე კითხვები პასუხებს.***

სად ცხოვრობენ ელენე და ანდრია?	ზოოპარკში მიდიან.
რას აკეთებენ ბავშვები ყოველ კვირა დღეს?	გირჩებს აგროვებენ.
სად აქვთ ციყვებს ფულურო?	ზოოპარკის მაღალ ხეზე.
რას აკეთებენ ციყვები?	ქალაქში.

1 *შეუსაბამე ტექსტის მონაკვეთები ნახატებს და მიუწერე ნომრები.*







7 ციყვები ელოდებიან ბავშვებს, მთელი დღე ზოოპარკის შემოსასვლელს უყურებენ, მაგრამ ანდრია და ელენე არ მოდიან. ციყვები დაღონდნენ.

8 ციყვები მიდიან ელენეს და ანდრიას მოსაძებნად. ქუჩაში ბევრი მანქანა და მგზავრებით სავსე ავტობუსია. ციყვები ხტებიან მანქანიდან მანქანაზე, მაგრამ ელენესა და ანდრიას ვერსად პოულობენ.

9 ციყვები ადიან შუქნიშანზე და იქიდან უყურებენ ქუჩას. გრძელი კუდებით ფარავენ შუქნიშანს. მძღოლები ვერ ხედავენ მწვანე და წითელ შუქს. მოძრაობა აირია, მანქანები ვეღარ მიდიან. მძღოლები ბრაზობენ. ამ მანქანებში დგას ელენესა და ანდრიას ავტობუსიც. ისინი ექსკურსიიდან სახლში ბრუნდებიან.

10 ანდრია და ელენე ავტობუსიდან შუქნიშანზე თავიანთ მეგობარ ციყვებს ხედავენ. ისინი დახმარებისათვის მაშველებს ურეკავენ.

1 ***წაიკითხე ამბის დასასრული.***



მაშველი ამწეთი ადის მაღალ შუქნიშანზე და ცდილობს ციყვების ჩამოყვანას. ანდრია და ელენე მას ტყიდან წამოღებულ თხილსა და გირჩას აწვდიან. ციყვები კეთილ მაშველთან სკუპ-სკუპით მიდიან.

კეთილ მაშველს ციყვები ელენესა და ანდრიასთან მოჰყავს.

1 ***ვინ არიან ამბის მთავარი პერსონაჟები, გაუსვი ხაზი და გადაიწერე.***

ბებია, ანდრია და ელენე, დათვი, ციყვები, მაშველი

_____

_____

1 ***სად, როდის ხდება მოქმედება? აირჩიე და გადაიწერე.***

სად? სახლში / ზოოპარკში / ატრაქციონზე / ქუჩაში

როდის? სამშაბათს / კვირას / დილას / ივლისში / ოქტომბერში

ამბის დრო და ადგილი

სად?

1. _____

როდის?

2. _____

1 ***რა რის შემდეგ მოხდა? დაალაგე თანამიმდევრულად და ჩაწერე სათანადო უჯრაში.***

ციყვები შუქნიშანზე ადიან

ციყვები მანქანებზე ხტებიან

მაშველს ციყვები ჩამოჰყავს

მოდის ამწე

3 _____ _____

4 _____ _____

2 _____ _____

5 _____ _____

1

6

თავი 13 რომელი საათია?

1 *წაიკითხე.*

2 *დააკვირდი საათებს. გააფერადე პატარა ისარი წითლად, დიდი ისარი – მწვანედ.*



3 *წაიკითხე:*

დილა

შუადღე

საღამო

4 *დააკვირდი და წაიკითხე.*

7 საათია

10 საათია

11 საათია

2 საათია

5 საათია

7 საათია

5 ***ჩახატე ისრები მითითებული დროის მიხედვით.***

8 საათი

2 საათი

11 საათი

5 საათი

6 ***წაიკითხე და უპასუხე კითხვებს.***

ლუკა პირს იბანს

ლუკა საუზმობს

ლუკა სკოლაში მიდის

რას აკეთებს ლუკა 8 საათზე? _____

რას აკეთებს ლუკა 9 საათზე? _____

1 *დააკვირდი საათს და წაიკითხე.*

დილა

მამია იღვიძებს.

საუზმობს.

სკოლაში მიდის.

შუადღე

სადილობს.

მეცადინეობს.

ფეხბურთს თამაშობს.

საღამო

ტელევიზორს უყურებს.

ვახშმობს.

იძინებს.

2 ***მონიშნე, მართალია /+/ თუ მცდარია /–/.***

- [ ] მამია დილის რვა საათზე იღვიძებს.
- [ ] მამია დილის რვა საათზე საუზმობს.
- [ ] მამია ხუთ საათზე მეცადინეობს.
- [ ] მამია საღამოს რვა საათზე ვახშმობს.

3 ***მოკლედ უპასუხე შეკითხვებს.***

დილის 7 საათია. რას აკეთებს მამია? _____

2 საათია. რას აკეთებს მამია? _____

საღამოს 7 საათია. რას აკეთებს მამია? _____

4 ***აირჩიე და ჩასვი გამოტოვებულ ადგილებში.***

3 საათზე | 10 საათზე | 7 საათზე | 9 საათზე

მამია _____ *სკოლაში მიდის.*

მამია _____ *მეცადინეობს.*

მამია _____ *ტელევიზორს უყურებს.*

მამია _____ *იძინებს.*

1 *შეუსაბამე წინადადებები სურათებს და მიუწერე.*

სადილობს | სკოლაში მიდის | საუზმობს | ვახშმობს | იძინებს

დილა

თომა ვარჯიშობს.

_____

_____

შუადღე

_____

ჭადრაკს თამაშობს.

ძაღლს ასეირნებს.

საღამო

მეცადინეობს.

_____

_____

2 ***აირჩიე და შემოხაზე სწორი პასუხი.***

თომა ვარჯიშობს	თომა სკოლაში მიდის	თომა ძაღლს ასეირნებს
● დილას.	● ფეხით.	● 3 საათზე.
● შუადღეს.	● ავტობუსით.	● 5 საათზე.
● საღამოს.	● მოტოციკლეტით.	● 7 საათზე.

3 ***შეადარე, რას აკეთებენ 3 საათზე. დააკვირდი და წაიკითხე.***

სამ საათზე მამია მეცადინეობს, **სამ საათზე** თომა ჭადრაკს თამაშობს.

როცა მამია მეცადინეობს, **მაშინ** თომა ჭადრაკს თამაშობს.

4 ***უპასუხე შეკითხვებს.***

როცა მამია ფეხბურთს თამაშობს, მაშინ რას აკეთებს თომა? _____

როცა მამია ტელევიზორს უყურებს, მაშინ რას აკეთებს თომა? _____

როცა მამია იღვიძებს, მაშინ რას აკეთებს თომა? _____

5 ***მარცვლებისაგან შეადგინე სიტყვები.***

რა კი ჭად _____

თავი 13 რომელი საათია?

1 ***წაიკითხე.***

მასწავლებელი

მეხანძრე

ხანძარი

ექიმი

2 ***მოძებნე, გამოყავი ხაზით და მიუწერე ნახატებს.***

ექიმიმეხანძრემასწავლებელიხანძარი



_____ _____ _____ _____

3 ***შეუსაბამე ნახატები წინადადებებს და მიუწერე ნომერი.***

1

2

3

ექიმი ავადმყოფს სინჯავს. ☐

მასწავლებელი მოსწავლეებს ასწავლის. ☐

მეხანძრე ხანძარს აქრობს. ☐

4 ***დააკავშირე.***

მასწავლებელი	ხანძარს აქრობს.
მეხანძრე	ავადმყოფებს სინჯავს.
ექიმი	მოსწავლეებს ასწავლის.

5 ***დაუკავშირე ტექსტები ნახატებს და მოცემული წინადადებები ჩაწერე სათანადო ადგილას.***

საღამოს 6 საათია.

დილის 8 საათია.

_____. დღეს სამუშაო დღეა. თომა გაჩერებაზე დგას და ავტობუსს ელოდება. ის სკოლაში მიდის. გაჩერებაზე დგანან თომას მეზობლებიც: ექიმი, მეხანძრე და მასწავლებელი. მასწავლებელი სკოლაში მიდის, მეხანძრე – სახანძროში, ექიმი კი საავადმყოფოში მიდის.

_____. დასრულდა სამუშაო დღე. თომა სკოლიდან სახლში ბრუნდება. მასწავლებელი, ექიმი და მეხანძრეც სამუშაოდან ბრუნდებიან. ექიმი და თომა ერთად გადადიან ქუჩაზე.

1 ***დააკვირდი და მიუწერე სათანადო ადგილას:*** შუადღე დილა საღამო.

დათვი ხეზე ძვრება.

ციყვი ხტება.

დათვი ცურავს.

ციყვი კაკალს აგროვებს.

დათვი თევზს იჭერს.

ციყვი წაბლს აგროვებს.

დათვი თაფლს ჭამს.

ციყვი კაკალს ღრღნის.

2 ***დააკვირდი სურათებს და მონიშნე, მართალია /+/ თუ მცდარია /–/..***

- [ ] დათვი შუადღეზე ცურავს.
- [ ] ციყვი შუადღეზე აგროვებს წაბლს.
- [ ] ციყვი შუადღეზე ღრღნის კაკალს.
- [ ] შუადღეზე დათვი თევზს იჭერს.

3 ***წაიკითხე და მიუწერე, ციყვია თუ დათვი.***

დილას ხიდან ხეზე ხტება. _____

დილას ხეზე ძვრება. _____

წაბლს და კაკალს აგროვებს. _____

საღამოს თაფლს და კაკალს ჭამს. _____

4 ***აირჩიე და დაასრულე წინადადებები.***

ხეზე ძვრება | კაკალს ღრღნის | ცურავს | წაბლს აგროვებს

როცა დათვი თევზს იჭერს, მაშინ ციყვი _____

როცა დათვი თაფლს ჭამს, მაშინ ციყვი _____

როცა ციყვი კაკალს აგროვებს, მაშინ _____

როცა ციყვი ხტება, მაშინ დათვი _____

5 ***ამოხსენი რებუსი.***

თ +  = _____

1 *წაიკითხე და გაიმეორე.*

გორგოლაჭებით ვსრიალებ.

ველოსიპედს ვატარებ.

ვცურავ.

ვვახშმობ.

მოტოციკლეტს ვატარებ.

ვსადილობ.

ვსაუზმობ.

თვითმფრინავით დავფრინავ.

ზოოპარკში მივდივარ.

2 ***წაიკითხე და გაიმეორე.***

ფეხბურთს ვთამაშობ.

ჭადრაკს ვთამაშობ.

ვმეცადინეობ.

3 ***აირჩიე, რისი გაკეთება გინდა და შეადგინე შენი დღის განრიგი. მიუთითე საათი, გააფორმე ნახატებით და წარუდგინე თანაკლასელებს.***



დილას

შუადღეს

საღამოს

თავი 14 რას სწავლობ სკოლაში?

1 ***წაიკითხე.***

ქართული ენა

ჟესტური ენა

ბუნება

ცეკვა

ხელოვნება

საგანი

ინგლისური ენა

მათემატიკა

სპორტი

ისტ (ინფორმატიკა)

2 ***წაიკითხე და მიუწერე.***

მათემატიკა	სპორტი	ცეკვა	ბუნება
_____	_____	_____	_____

3 ***დაუკავშირე სიტყვები საგნებს.***

ქართული ენა

ინგლისური ენა

ხელოვნება

ჟესტური ენა

ისტ

4 ***შეუსაბამე რეპლიკები ნახატებს და მიუწერე, ვინ საუბრობს.***

მე მიყვარს ჟესტური ენა და კომპიუტერი. _____

მე მიყვარს ხელოვნება და ისტ. _____

მე მიყვარს მათემატიკა და ბუნება. _____

5 ***თათიამ შეავსო ცხრილი. წაიკითხე წინადადებები და დააკვირდი, რა შეეშალა მას. შეავსე ბოლო წინადადება.***



რა ჰქვია?	ჟესტური	ქართული	ბუნება	მათემატიკა	სპორტი	ცეკვა
ია			+	+		
სოსო	+				+	
მაია		+				+

იას უყვარს ბუნება და სპორტი.

სოსოს უყვარს ჟესტური ენა და სპორტი.

მაიას უყვარს _____

1 ***ჩაატარე გამოკითხვა: ჰკითხე ორ კლასელს, რომელი საგნები უყვართ და მონიშნე სათანადო უჯრები. შემდეგ დაწერე, ვის რა უყვარს.***

რა ჰქვია?	ჟესტური	ქართული	ბუნება	მათემატიკა	სპორტი	ისტ

1. _____

2. _____

2 ***დააკვირდი და წაიკითხე.***

ბუნების გაკვეთილი

მათემატიკის გაკვეთილი

ქართულის გაკვეთილი

3 ***დაუკავშირე სურათები სიტყვებს.***

ფეხბურთი



კალათბურთი

წერა

ჟესტებით საუბარი

ანგარიში

4 ***აირჩიე და მიუწერე, რომელ გაკვეთილზე რას სწავლობ.***

ხატვას | კითხვას | ფეხბურთს | ანგარიშს

ქართული ენის გაკვეთილზე ვსწავლობთ _____

ხელოვნების გაკვეთილზე ვსწავლობთ _____

სპორტის გაკვეთილზე ვსწავლობთ _____

მათემატიკის გაკვეთილზე ვსწავლობთ _____

5 ***დააკვირდი მამიას ცხრილს. წაიკითხე ქვემოთ მოცემული წინადადებები და მონიშნე, მართალია /+/ თუ მცდარია/–/. დაასაბუთე შენი პასუხი..***

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
ჟესტური	ჟესტური	ბუნება	ისტ	ჟესტური
მათემატიკა	ქართული	ჟესტური	მათემატიკა	ქართული
ქართული	სპორტი	ქართული	ჟესტური	ხელოვნება
ბუნება	მათემატიკა	ხელოვნება	ქართული	მათემატიკა
			სპორტი	

ა. მამიას ბუნება აქვს ორშაბათს და ოთხშაბათს. ☐

ბ. მამიას ხუთშაბათს აქვს 5 გაკვეთილი. ☐

გ. მამიას სპორტი აქვს სამშაბათს და პარასკევს ☐

6 ***უპასუხე კითხვებს.***

რამდენი გაკვეთილი აქვს მამიას ორშაბათს? _____

კვირის რომელ დღეებში აქვს ხელოვნება? _____

კვირის რომელ დღეს აქვს ისტ? _____

1 ***შეადარე მაიასა და თეას გაკვეთილები ერთმანეთს და შეავსე წინადადებები.***

მაია

ოთხშაბათი		ოთხშაბათი
მათემატიკა	1	ჟესტური ენა
ცეკვა	2	ქართული ენა
ინგლისური ენა	3	მათემატიკა
ქართული ენა	4	ხელოვნება
ბუნება	5	

თეა

როცა მაიას აქვს მათემატიკა, მაშინ თეას აქვს _____

როცა მაიას აქვს ცეკვა, მაშინ თეას აქვს _____

როცა თეას აქვს მათემატიკა, მაშინ მაიას აქვს _____

როცა თეას აქვს ხელოვნება, მაშინ მაიას აქვს _____

2 ***დააჯგუფე და მიუწერე.***

ჟესტური ენა | მათემატიკა | ქართული ენა | ცეკვა

ინგლისური | ბუნება | ხელოვნება

არ აქვს თეას, აქვს მაიას: _____

არ აქვს მაიას, აქვს თეას: _____

ოთხშაბათს მაიასაც და თეასაც აქვთ: _____

3 ***მიუწერე, რას სწავლობენ ხუთშაბათს ციყვი და დათვი.***

კაკლის შეგროვებას	ღრღნას	თევზის ჭერას	ხტომას
ხეზე ძრომას	ცურვას		

ხუთშაბათი

ხუთშაბათი

4 ***შეადარე ციყვისა და დათვის ქცევა, დააჯგუფე და მიუწერე.***

ღრღნა	თევზის ჭერა	ხეზე ძრომა	ხტომა
საჭმლის შეგროვება	ცურვა		

დათვმა არ იცის, ციყვმა იცის: _____

ციყვმა არ იცის, დათვმა იცის: _____

ციყვმაც და დათვმაც იციან: _____

1 ***გაკვეთილების ცხრილზე დაყრდნობით დაასრულე წინადადებები.***

გუშინ	დღეს	ხვალ
სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი
ქართული ენა	ჟესტური ენა	მათემატიკა
მათემატიკა	ქართული	ბუნება
ბუნება	სპორტი	ჟესტური ენა
ხელოვნება	ხელოვნება	სპორტი

დღეს არის ოთხშაბათი. მამიას **აქვს** ჟესტური ენა, ქართული ენა, სპორტი და ხელოვნება.

გუშინ იყო სამშაბათი. მამიას **ჰქონდა** ქართული, მათემატიკა, ----------, ----------, ----------

ხვალ იქნება ოთხშაბათი. მამიას **ექნება** მათემატიკა, ბუნება. ----------, ----------

2 ***აირჩიე და მიუწერე.***

იქნება ხვალ | იყო გუშინ

სამშაბათი: _____

ოთხშაბათი არის დღეს.

ხუთშაბათი: _____

3 ***წაიკითხე ჩამონათვალი და მიუწერე, შენ რა იცი.***

წერა

ცეკვა

ველოსიპედის ტარება

ფეხბურთის თამაში



ანგარიში

თევზის ჭერა

ჭადრაკის თამაში

კალათბურთის თამაში

სირბილი

ხატვა

გორგოლაჭებით სრიალი

ცურვა

მე ვიცი _____

4 ***მისწერე წერილი თანაკლასელს. უთხარი, რა იცი.***



1 *დააკვირდი ნახატებს და უპასუხე კითხვებს.*

ზამთარი

გაზაფხული

1. მზე დილის 8 საათზე ამოდის და საღამოს 6 საათზე ჩადის. ზამთარია თუ გაზაფხულია? _____

2. მზე დილის 6 საათზე ამოდის და 8 საათზე ჩადის. ზამთარია თუ ზაფხულია?

_____

2 *პირველ ნახატში ნაჩვენებია, როდის ამოდის და ჩადის მზე ზამთარში. მეორე ნახატში იპოვე და ჩახატე, როდის ჩადის მზე გაზაფხულზე.*





3 *დააკვირდი შენს ნახაზს, აირჩიე და ჩაწერე:*

მოკლე გრძელი

ზამთარში დღე არის _____

გაზაფხულზე დღე არის _____

1 ***შეუსაბამე ნახატებს წინადადებები და მიუწერე მათი ნომერი.***

1

2



მერცხლები მიფრინავენ. ☐

მერცხლები მოფრინავენ. ☐

ლიზი ბებია ფოტოს უღებს მერცხლებს. ☐

ლიზი ბებია ფოტოს უღებს ბავშვებს. ☐

ხეზე ყვითელი ფოთლებია. ☐

ხეზე ყვავილებია. ☐

შემოდგომაა. ☐

გაზაფხულია. ☐

2 ***ამოხსენი რებუსი.***

\+ ნება = _____

3 ***დააკვირდი და წაიკითხე, რა ხდება გაზაფხულზე. შეუსაბამე ნახატებს წინადადებები და მიუწერე ნომერი.***

ენძელა

შროშანი

ყაყაჩო

იასამანი

- [ ] დათვი აჩენს ბელებს.
- [ ] გაზაფხულზე ამოდის ყვავილები.
- [ ] მერცხალი ბუდეში დებს კვერცხებს.
- [ ] პირველად ენძელა ამოდის. ამ დროს ჯერ კიდევ თოვლია.
- [ ] ციყვი აჩენს პატარა ციყვებს.
- [ ] მერცხლის კვერცხებიდან ბარტყები იჩეკებიან.
- [ ] ზღარბი აჩენს პატარებს და ბუნაგიდან გამოდის.

1 ***დააკვირდი, რის შემდეგ რა ხდება და გადაწერე წინადადებები დროითი თანამიმდევრობით.***

მერცხალი ბარტყებს აჭმევს.

ბარტყები იჩეკებიან.

ბარტყები სწავლობენ ფრენას.

მერცხალი ბუდეში დებს კვერცხებს.

3 შემდეგ _____

_____

4 შემდეგ _____

_____

2 ჯერ _____

_____

5 ბოლოს _____

_____

1

მერცხლები მოფრინავენ.

6

მერცხლები მიფრინავენ.

2 ***დააკვირდი, რა რის შემდეგ ხდება და გადაწერე წინადადებები დროითი თანამიმდევრობით.***

ბელები ძუძუს წოვენ.

დათვი აჩენს ბელებს.

დათვი ზამთარში იძინებს.

ბელები სწავლობენ ხეზე ძრომას.

3 შემდეგ _____

_____

4 შემდეგ _____

_____

2 ჯერ _____

_____

5 ბოლოს _____

_____

1

დათვი ბუნაგში ხავსს აფენს.

6

დათვის ბელები თამაშობენ.

1 ***დაასახელე ზამთრისა და გაზაფხულის თვეები.***

ზამთარი

2 ***წაიკითხე წინადადებები და მიუწერე, რომელი თვეა.***

ახალი წელია. ----------

ბავშვები ციგაობენ. ----------

დათვს ბუნაგში სძინავს. ----------

მერცხლები მოფრინავენ. ----------



ია ამოდის. ----------

ენძელა ამოდის. ----------

მერცხალი კვერცხებს დებს. ----------

ზღარბი პატარა ზღარბებს აჩენს. ----------

ბელები სწავლობენ ხეზე ძრომას. ----------

ციყვები კაკალს ღრღნიან. ----------

დათვი ბელებს აჩენს. ----------

1 *დააკვირდი ნახატებს. თითოეული მატარებელი წელიწადის თითო დროს განასახიერებს, ვაგონები – შესაბამის თვეებს. გააფორმე ვაგონები სათანადო ნახატებით.*




მაისი
აპრილი
მარტი
გაზაფხული
თებერვალი
იანვარი
დეკემბერი
ზამთარი

1 *შეუსაბამე ტექსტის მონაკვეთები ნახატებს და მიუწერე ნომრები.*



ავტობუსი №32



1 ქალაქის მთავარ ქუჩაზე დადის ავტობუსი № 32.

2 მგზავრები ადიან ავტობუსში და ყიდულობენ ბილეთებს.

3 ავტობუსი შუქნიშნის წითელ შუქზე ჩერდება, გზას უთმობს ფეხით მოსიარულეებს და თან ფიქრობს: „დღეს გაზაფხულის პირველი დღეა, პირველი მარტი! ახლა ტყეში გაზაფხულის ყვავილებია, ჩიტები დაფრინავენ, მხიარულად ჭიკჭიკებენ. როგორ მიყვარს გაზაფხულის ტყე! მოდი, ცოტა ხნით წავალ ტყეში“.

4 ავტობუსი ტოვებს ქალაქს, სოფლის გზაზე გადის და ტყისკენ აგრძელებს გზას.

1 *შეუსაბამე ტექსტის მონაკვეთები ნახატებს და მიუწერე ნომრები.*





5 ავტობუსში მგზავრები შფოთავენ, ბრაზობენ. ვერ გაუგიათ, სად მიდის ავტობუსი. ყველას სამუშაოზე აგვიანდება.

6 „მე მასწავლებელი ვარ. კლასში მეორეკლასელები მელოდებიან!“ – ამბობს ერთი ქალი.

7 „მე ექიმი ვარ. ავადმყოფი მელოდება“, – ნერვიულობს ერთი კაცი.

8 „გაგვაგებინეთ, აქ სად მიდიხართ, რა გვინდა ამ ტყეში?“ – ეჩხუბებიან მძღოლს. მძღოლი თავს იმართლებს: „არაფერი ვიცი, ავტობუსი თავისით მიდის ტყისკენ. მე ვერ ვაჩერებ“.

1 ***რით ჰგავს ავტობუსი ადამიანს? მონიშნე სწორი პასუხები.***

- ☐ ავტობუსს აქვს ხელები.
- ☐ ავტობუსს აქვს თვალები.
- ☐ ავტობუსი ფიქრობს.
- ☐ მას უყვარს ყვავილები.

2 ***მონიშნე, მართალია /+/ თუ მცდარია /–/. შენი პასუხი დაასაბუთე.***

- ☐ ავტობუსს გაზაფხული უყვარს.
- ☐ ავტობუსში მასწავლებელი მგზავრობს.
- ☐ ავტობუსმა იცის თვეების სახელები.
- ☐ ავტობუსმა იცის, რა ხდება გაზაფხულზე.

3 ***აირჩიე და უპასუხე შეკითხვებს.***

მარტი | მგზავრები | ავტობუსი | ტყეში | მოსწავლეები

ვინ ადის ავტობუსში? _____

რა ჩერდება წითელ შუქზე? _____

რომელია გაზაფხულის თვე? _____

სად მიდის ავტობუსი? _____

ვინ ელოდება მასწავლებელს? _____

4 ***დაუკავშირე კითხვები პასუხებს.***

რაზე ფიქრობს ავტობუსი?	● გაკვეთილზე.
სად აგვიანდება მასწავლებელს?	● გაზაფხულის ყვავილებზე.
სდ აგვიანდება ექიმს?	● იმიტომ, რომ სამუშაოზე აგვიანდებათ.
რატომ ბრაზობენ მგზავრები?	● საავადმყოფოში.

შენი აზრით, მძღოლი ატარებს ავტობუსს თუ ავტობუსი ატარებს მძღოლს?

შენი აზრით, იციან თუ არა მგზავრებმა, რომ ეს ავტობუსი ფიქრობს? დაასაბუთე შენი პასუხი.

5 ***წაიკითხე და მონიშნე, სად არის ეს ინფორმაცია, სურათზე თუ ტექსტში. მონიშნე ნიმუშის მიხედვით.***

	სურათზე	ტექსტში
ქუჩაზე გადადის ერთი კაცი, ერთი ქალი და ერთი ბავშვი.	+	
ბილეთს გიტარისტი იღებს.		
ავტობუსს თვალები აქვს.		
ავტობუსი ფიქრობს.		
სოფლის გზაზე ბავშვები ავტობუსს ხელს უქნევენ.		
მგზავრები ბრაზობენ.		
ავტობუსში ზის მეხანძრე.		
ავტობუსში ზის მასწავლებელი.		

1 *შეუსაბამე ტექსტის მონაკვეთები ნახატებს და მიუწერე ნომრები.*

8 ავტობუსი მინდორში გაჩერდა. მზე ანათებს, ფრინველები გალობენ. დგას გაზაფხულის ლამაზი დილა. მასწავლებელი ჩადის ავტობუსიდან და მინდორში გაშლილ იებს კრეფს. მგზავრები ნელ-ნელა ჩადიან ავტობუსიდან.

9 გაზეთით ფეხბურთს თამაშობენ.

10 ორი ბავშვი და ბებია ჩიტის კვერცხებით სავსე ბუდეს პოულობენ.

11 მეხანძრე სოკოს და მარწყვს აგროვებს.

1 ***წაიკითხე ამბის დასასრული.***

მოულოდნელად ავტობუსი მიდის. ყველა ავტობუსს მისდევს. ჯერ მძღოლი ახტება მანქანას, შემდეგ მგზავრები. კიდევ კარგი, რომ ავტობუსი ძალიან ნელა მიდის.

ყველანი თავიანთ ადგილებზე არიან. ავტობუსი სიჩქარეს უმატებს და ქალაქისაკენ მიდის. ახლა უკვე აღარავინ ბრაზობს. ყველას ესიამოვნა გასეირნება.

2 ***ვინ არიან ამბის მთავარი მოქმედი პირები (პერსონაჟები)? გაუსვი ხაზი და გადაიწერე.***

მასწავლებელი | პატარა გოგოები | ავტობუსი | მძღოლი

მთავარი პერსონაჟი:

1. _____

3 ***სად და როდის ხდება მოქმედება.***

სად? სოფლის გზაზე | ტყეში | ავტობუსში

როდის? შემოდგომაზე | პირველ მარტს | აგვისტოს თვეში | გაზაფხულზე | კვირა დღეს

დრო და ადგილი

სად? როდის?

1. _____
2. _____
3. _____

4 ***რომელია ამბის დასაწყისი, რომელი – ამბის დასასრული? დააკავშირე.***

დასაწყისი	ავტობუსი მიდის ქალაქიდან ტყეში. ავტობუსი მიდის ტყიდან ქალაქში.	**დასასრული**

1 ***რა მოხდება პირველად, რა – შემდეგ? დაალაგე თანამიმდევრულად და ჩაწერე სათანადო უჯრაში.***

მიდის ტყისაკენ / მგზავრები ბრაზობენ / მგზავრი ყვავილებს კრეფს / მგზავრები ჩადიან ავტობუსიდან

3

2. _____

_____

4

3. _____

_____

2

1. _____

_____

5

4. _____

_____

1



ავტობუსი ფიქრობს: „დღეს გაზაფხულის პირველი დღეა“.

6

ავტობუსი და მგზავრები კმაყოფილი ბრუნდებიან.

მოდული 1. *თავი 6. ჩემი საყვარელი პერსონაჟები.*

გვ. 28-30

✂

პატარა ბიჭი ტყეში მიდის. ღამეა და ცივა. გზაზე ცხოველებია: კურდღელი, დათვი, ირემი. ცაზე მთვარე ანათებს. ბიჭს არ ეშინია.

დედა უყურებს საწოლს - ბიჭი არ წევს თავის საწოლში.

დედა, მამა, ბებია და პაპა ტყეში მიდიან. მამას და პაპას აქვთ ფანარი. ბიჭს ძაღლიც ეძებს. მას მურა ჰქვია. მურას ძალიან უყვარს ბიჭი. მურა და ბიჭი მეგობრები არიან.

ტყეში მთვარე ანათებს. დათვს და კურდღელს სძინავთ. ხის ტოტზე ორი ბუ ზის. ისინი გაკვირვებულები უყურებენ პატარა ბიჭს. ერთი ბუ ამბობს: „ძალიან ცივა, ბიჭუნა ავად გახდება“.

მამა, დედა, ბებია და პაპა ტყეში არიან. უცებ რას ხედავენ! პატარა ბიჭი ბუების ფრთებშია გახვეული და სძინავს. კეთილი ბუები მძინარე ბიჭუნას ფრთებით ათბობენ.

გვ. 31-33







გამოსაჭრელი.

გვ. 71

ივნისი	ივლისი	აგვისტო
სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი

თავი 8. ტყეში.

გვ. 84-85

თავი 8. ტყეში.

თავი 8. ტყეში.

გამოსაჭრელი.

დათვი ძალიან კარგად ცურავს. დათვი აღმართში სწრაფად დარბის. დათვი მაღალ ხეებზეც კარგად ძვრება.

დათვი ხის ძირში გამოთხრის ბუნაგს, შიგნით დააფენს ხავსს, ხმელ ტოტებს, ფოთლებს. მერე დაწვება და დაიძინებს. ზამთრის ძილის დროს დათვი არც ჭამს, არც სვამს.

დათვი იკვებება ბალახით, ხეების ფოთლებით, ფრინველების კვერცხებით, რკოთი, კაკლით, წაბლით, კენკრით.

დათვს აქვს დიდი, ბეწვით დაფარული სხეული. ოთხი მოკლე და ღონიერი კიდური, დიდი თავი, პატარა თვალები, ყურები და მოკლე კუდი.

მოდული 3. ***თავი 10. დილა ჩვენს ქუჩაზე.***

გვ. 103

გაჩერება	ავტობუსი	ქუჩა
მძღოლი	შუქნიშანი	სამარშრუტო ტაქსი
მეტრო	მოტოციკლეტი	ტაქსი

წიგნის შექმნაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ორგანიზაცია გადავარჩინოთ ბავშვების საქართველოს ოფისის (Save the Children in Georgia) თანამშრომლებმა. ინიციატივის შემუშავებასა და იდეის წარმატებით განხორციელების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ:

მედეა კაკაჩია

ნანა ჭყონია

ნათია დეისაძე

თამარ ტრაპაიძე

მარტინა სმიდოვა

ანა ლაღიძე

ქეთევან ჯაყელი